

140  
1973

ՀԱՅԿԵՅՆ  
ՇՈՒԿԱԿՈՒՄՆԵՅ




ՀԱՄԵՆՆԵՐ 1 1973









წილარ შეგნაძე

# საბჭოთა საქრებულო

შატავარი  
წ. მამბარიაშვილი.

მითხრობა

უცხო ხიზი

...ბუხარში შემა ჩანაკვერცხლოვანი  
ლიყო. კეცები წითლად ვარვარებდა.  
დედა მჭადის გამოცხობას შეუდგა:  
ხელგომში ფქვილი გაცრა, ცომი  
აავუნდავა, მერე გუნდა ორომზე  
გაბრტყელა, კეცში ჩააყრა, კეცი სა-  
კეცით წამოაყენა, კეცხლს მიუფი-  
ცხა და, რომ არ წაქცეულიყო, ორ-  
კაპა ჯოხი შეუყენა.

პირველად შევამჩნიე: დედა მჭა-  
დის გამოსაცხობად ბევრ ზედმეტ  
სამუშაოს ასრულებდა. ჩემი ფქ-  
ვით, საცერი სულაც არ იყო საჭი-  
რო. მოშიებული კაცი გაუტრელ  
ფქვილის მჭადსაც გემრიელად მიირ-  
თმევდა. ორომი ხომ მთლად ზედ-  
მეტად მივიჩნიე: ცომის გუნდა კეც-  
შიც მშვენიერად გაბრტყელდება-  
მეთქი. ეს აღმოჩენა აჩიკოს წაფურ-  
ჩულე. ხელი ამიქნია, სისულელეს  
ნუ როშავო. ის ყოველთვის აგდებ-  
ულიდ მიყურებს: შენ რა გაგეგება,  
ჯერ სკოლაშიც არ შესულხარო.  
თვითონ მეოთხეშია. მეც შევალ  
წელს სკოლაში და მერე ნახოს! მა-  
მაჩემის სასახავად რომ წავიდა, პა-  
პამ აჩიკოს დაუბარა: ოჯახში ახლა  
კაცი შენდა რჩები, მარჯვედ იყავი,  
მტერი არ გაახარო და აქაურობას  
უჩემობა არ დაატყო. ესაო და პა-  
პამ კაცად ჩამთვალაო, სულ გათა-  
მამდა, თავი მართლა კაცი ჰგონია. ის  
თუ კაცია, სამი წლის შემდეგ მეც  
კაცი ვიქნები!

მჭადის სუნი მეცა და კეცისკენ  
წავიწიე. აჩიკო მკლავში ჩამაფრინდა  
და მიმბარუნა: აბა, თუ მიხვდები  
მჭადის გამოცხობამდე რამდენის  
დათვლას მოვასწრებო? ორომცამ-  
დეც ვერ ახვალ-მეთქი. დავნაძლევე-  
დეთო, და ხელი გამომიწოდა. დავ-  
ნაძლევედით. სამას ექვსამდე დათ-  
ვალა...

დედამ მჭადი ორად გატეხა, ნახე-  
ვარი მე მომცა, ნახევარი — აჩიკოს.  
თანაც გაგვაფრთხილა, გარეთ ფეხი  
არ გადგათ, აგერ ჩემს თვალწინ  
შეჭამეთო. ორიოდე ლუქმა რომ გა-  
დავყლაპე, ულუფა ორად გავყავი.  
ერთი ნატეხი უბეში ჩავიგდე და ჭა-  
მა ისე განვაგრძე, ვითომც არაფერი!  
ცხელმა მჭადმა ფერდი დამიწვა, მინ-  
დოდა უხმოდ ამომელო, მაგრამ ვერ  
მოვახერხე. ბოლოს ერთი მწარედ  
შევყვირე, ლოგინზე წამოვკოტრი-  
აღდი და თავწაჭრილი ინდაურით  
ავფართხალდი. დედა დაიბნა, ვერ  
მიხვდა ჩემს გაჭირვებას. ისევ აჩი-  
კომ მიმველა: ჩამიყო უბეში ხელი  
და გარღვეულ საკერებელში ჩაკვე-  
ტებული მჭადის ნატეხი გამოაძ-  
ვრინა.

— ძაღლისთვის მალავდი, ხომ?  
მითხრა დედამ და ნაღვლიანად და-

კიბე ფშრუტუნით ჩავათავე. გავე-  
დო შუა ეზოში, ქვაზე ჩამოვჯექი და  
ხელის ზურგით თვალეები ამოვიმშრა-  
ლე. ერთხანს უძრავად ვიჯექი. მერე  
სახლისკენ გავიხედე. ფანჯრიდან დე-  
და მიყურებდა და თვალეებზე ხელს  
ისვამდა. მგონი ისიც ტიროდა. მა-  
მაჩემის წერილი რომ მივიღეთ, მის  
შემდეგ დედას ველარ ვცნობთ. მე და  
აჩიკოს უბრალო რამეზეც კი გვიყ-  
ვირის და გვიბრაზდება. ზოგჯერ ჩა-  
ეკეტება და ჩვენს ნამალევად ქვითი-  
ნებს. მამა გვწერდა: მიძინე დაჭრი-  
ლი ვარ და საავადმყოფოში ვწევარ-  
ო. ოპერაცია უკვე ორჯერ გაიკე-  
თეს, მაგრამ არაფერი მეშველა, რო-  
გორც ვატყობ, მესამედაც მომიწევს  
დანის ქვეშ წვალუბარო. პაპაჩემი წა-  
ვიდა სანახავად. რამდენი ხანია წა-  
ვიდა და არ იქნა, აღარ გამოჩნდა.  
დედა დარდობს, ვაითუ ამ არეულო-  
ბაში ხიფათს გადაეყარა და სულ დაგ-  
ვესხა ცეცხლზე წყალიო...

საბძლის წინ ცუგას დაგორგოლის  
ეძინა. ფეხაკრფით მივუახლოვდი,

თავზე ხელი გადავუსვი, შემომიღრი-  
ნა, ნემსივით კბილები გამოაჩინა.  
— შენც მიბრაზდები, ცუგა?! —  
ვუსაყვედურე და თვალეებში ცრემ-  
ლი მომადგა: — აგერ ახლა დედა  
გამიწყრა და გამომავდო, ჩემმა  
თვალმა არ დაგლანდოსო, შენ მოგა-  
შურე და შენც...

ცუგას შევეცოდე, მოსაწყლებული  
თვალეებით შემომატყერდა და კული  
გააქიციანა. მივხვდი, ბოლიში მიხდი-  
და. რომ გავუტყინე, გულზე შემო-  
მეტოტინა, აწკმუტუნდა, მომეალერ-  
სა. საოცრად მისუსტებული ჩანდა,  
ფერდი ფერდზე ჰქონდა მიკრული.

— შენც გშია, ცუგა? მოითმინე  
ცოტა ხანს, აჩიკო ფქვილის სასეს-  
ხებლად მაიდასთან წავიდა. კეცები  
უკვე ცეცხლზეა შედგმული. დედა  
ხელად გამოაცხობს. ჰოდა, მჭადით  
გამოგბრუსქნავ გემოზე.

უეცრად ქარბორბალამ წამოუ-  
ბერა, ცაზე შავი ღორბლები წამო-  
იშალა. მალე წვიმის წვეთებიც და-  
მეცა. წვიმას ყველა ნატრობდა. ამ  
დილას დედაჩემმაც რამდენჯერმე  
ცას ახედა და ამოოხვრით თქვა: თუ  
ორიოდე დღეში არ გაავდარდა, გა-  
ისადაც მშვივრები დავრჩებითო. წვი-  
მის წვეთები გამიხარდა და აღტაცე-  
ბით შევიძახე:

— მოდის! მოდის!  
დედა გაფითრებული გამოვარდა  
და ალღვებულმა ძლივს ამოთქვა:  
— ვინ მოდის?  
— წვიმა!

— ფიქრში ვიყავი და ამ მაკვა-  
რანცხმა არ გადამასხა გულზე ცივი  
წყალი?! — ჩაილაპარაკა დედამ და  
მერე შემომიძახა: მეორედ აღარ იყ-  
ვირო ასე უთავებოლოდაო.

ქიშკარში გავედი და აჩიკოც გა-  
მოჩნდა, ილიაში სავეე თოფრა ამო-  
ეჩარა და სიხარულით მიწახე ფეხს  
არ ადგამდა.

12.178




## საბჭოთა

ინფორმაცია  
1973

საქართველოს ალკა ცენტრალური  
კომიტეტის და ს. ბ. ლენინის სახელობის  
წილარ პიროვნება ორგანიზაციის  
ჩაინაგებების სახოს ახალითვიანი  
საბავშვო თარიღი

ბათუმის 1926 წლიდან

საქ. კვ. მქ-ის  
გამომცემლობა







უმატა: — ძაღლის საჭმელი მჭადი გვაქვს ახლა ჩვენ? ამ ფევილს რომ უყურებთ, პაპათქვენის მოსულამდე უნდა გვეყოს, იცით თუ არა? პაპათქვენი კი...

დედას ენა შეებოჩა და სათქმელი ველარ დაამთავრა.

გარეთ ცუგამ შეჰყვება და მერე კი რალაც საეჭვოდ აწყობუტუნდა. დერეფანი გავირბინე, შარავხას გავხედე და მთელი ძალით შევევირე:

— მოდის! მოდის!

აღარ მახსოვს, როგორ გავჩნდი პაპასთან და მუხლებზე მოვეხვიე. მაშინლა გამოვეგრკვიე, მხარზე ბიძგი რომ ვიგრძენი. ჩემი ტოლა ქერა ბიჭი ცალი ხელით პაპას ჩაფრენოდა, მეორე ხელით კი ჩემს მოცილებას ცდილობდა. აჩიკომაც რომ მოირბინა და პაპას ყელზე ჩამოეკიდა, უცხო ბიჭი კიდე უფრო მოიჭუფრა. ამასობაში დედაც გამოვიდა. წუთით დღმილი ჩამოვარდა. ვიდექით შუა ეზოში და გაცოცხული შევეყურებდით თმაბურძენულ, ჩაჭუჭყიანებულ ბიჭს, პაპა თავზე ხელს რომ უსვამდა...

**საპაპრო თავდასხმა და დაპარგული ხურჯინი**

მტერსაც არ ვუსურვებ, რაც ამ ორიოდე კვირაში გაჭირვება გადავოტანეო. წამოიწყო პაპამ, სახლში რომ შევედით და დავსხედით. მამაჩემზე ლაპარაკს რატომღაც გაუბრბოდა მოვსაურობის ამბავს კი დაწვრილებით ჰყვებოდა. თითქოს ყველაფერი ესმისო, უცხო ბიჭი ყურადღებით უსმენდა, ხანდახან თავს მუხლზე დაადებდა, წამით თვალს მილულავდა, მერე უცებ შეკრთებოდა და სახემოლუშული შემოგვაცქერდებოდა.

მართლაც ბევრი ხიფათი და გაჭირვება გადაუტანია პაპას. ყველაზე დიდი უბედურება სარატოვთან დასტენია თავს. ევაკუირებული ხალხით გაჭედილი მატარებელი სარატოვიდან რომ გამოსულა და რამდენიმე კილომეტრი გამოუვლია, უეცრად ცაზე მტრის ყუმბარამშენი გამოჩენილა. მემანქანეს სიჩქარისათვის მოუმატებია — საშიში ზონიდან მატარებლის გაყვანა უცდია. თვითმფრინავმა თურმე თავს დაუარა, ყუმბარები ჩამოყარა, მერე ცაში ირაო შემოხაზა, შებრუნდა და თვალს მიეფარა... მემანქანეს უმარჯვინა და ყუმბარებისაგან ახრეულ ლიანდაგთან დაუმუხროუჭებია მატარებელი. მოშლილ ვზას ისე ხელად ვინ შეაკეთებდა. შიშით გულგახეთქილი

და მშვიერი ხალხი იმ ტრიალ მინდორის შევრჩით ღვთისანაბარო, — ჰყვებოდა პაპა და დროდადრო მიძმედ ამოიოხრებდა ხოლმე. მესამე დღეს, ლიანდაგის აღდგენას ცოტალა რომ ჰკლებია, მტრის თვითმფრინავები ისევ გამოჩენილან და ხალხით მოფენილი მინდორი დაუბომბავით. პაპაჩემი ერთ პატარა ორმოს წასწყდომია, ჩაურგავს შიგ თავი და მიწას ისე დაკვდომია, სუნთქვაც კი შეუტრავს. თვითმფრინავთა გუგუნი და ყუმბარების შემაზრზენი გრიალი რომ მიჩუმებულა, ფრთხილად წამოუყვია თავი და დაუნახავს: იქვე,

— ერთი სული მქონდა მწინამაგნი ვლამდის, მეგონა, სერგის ჩამშვსს მომიტანდი!.. — თქვა დედამ ნალვლიანად.

— ეჰ, ვერ მივალწვი, შვილო, იქამდე და რა ვქნა! კაცი იქადის და ამინდი მუშაობსო. ამინდმა არ შემწყყო ხელი... ის კი არა და, კინაღამ მეც გამაჭიმინეს ფეხი იმ ურჯულოებმა! — თქვა პაპამ და მცირე ხნის შემდეგ დაუმატა: — იმ ჯოჯოხეთსა და შეხლა-შემოხლაში ხურჯინი დავკარგე. თუმცა ხურჯინს სულაც არ დავეძებ, შიგ თქვენთვის ნაყიდი ფეხსაცმელები მეწყო და ის მენანე-



ორიოდე ნაბიჯზე, ყუმბარის ნამსხვრევით მკერდგაგლეჯილ ქალს პატარა ბიჭუნა ურბენდა თურმე გარშემო და ძლივს გასაგონი ხმით ხაოლა:

— Ненька! Ненька! Неня!\*

პაპაჩემს ბიჭი ამ დღეში რომ უნახავს, მისულა, ხელი მოუხვევია და მოფერებია. ამ დროს მტრის თვითმფრინავს ზეცა კვლავ გადმოუგრუხუნებია, ოღონდ ყუმბარა აღარ ჩამოუვლია. ბიჭუნას მაინც შეშინებია და პაპას ჩაჰკვრია. მის შემდეგ თურმე ისეა შემკვლელებული, უიმისოდ ერთ წუთსაც ვერ ძლებს. პაპაჩემსაც შეჰყვარებია. სადაც ჩემი ორი მვილიშვილი გაიზრდება, იქ ეს ბიჭიც წამოიჩიტებაო, გაუფიქრებია და წამოუყვანია. დიომა ჰქვია, გვარად კრავჩენკაო.

ბა. — გადმოგვხედა პაპამ მე და აიკოს.

— ველარ იპოვე? — წამოვიძახე დანანებით და შიშველ ფეხებზე დავიხედე.

პაპას ჩემი წამოძახილი, მგონი, აღარც გაუგონია. თავი მიძიმედ დახარა და ღრმად ჩაფიქრდა.

**დიომას უცნაური საქმიელი**

პაპამ დიომას იმ საღამოსვე თავი გადახოტრა, დედამ დაბანა, ავახშმა და ლოგინში ჩააწვინა. ათასჭირვარამგადახდილსა და გადაღლილს მალე ჩაეძინა. ჩვენ კი ერთხანს ისევ ზეზე ვიყავით და ვსაუბრობდით. პაპამ სოფლის ახალი ამბები სანამ დაწვრილებით არ ჩამოგვაკვლია,





მანამ არ დაწვა. დაწვა და მყისვე ხვრინვა ამოუშვა.

უეცრად დიომას გამწვიანი ხმა ჩამესმა და გამომადგინა. თვალი გავახილე, მაგრამ უმთვარო დამე იყო და ვერაფერი გავარჩიე. დედა სწრაფად წამოდგა, ლამპა აანთო, ტიტ-ლიკანა დიომა ოთახში დარბოდა და იძახდა:

— Ненька! Неня! Неня!

პაპამ ერთ-ორჯერ ლოგინიდან დაუძახა, მაგრამ ვერაფერი შეასმინა. წამოდგა, ხელი სტაცა და ისევ ლოგინში ჩააწვინა. დიომა ერთხანს კიდევ ყვიროდა და ადგომას ლამობდა, მერე კი, თანდათან გონს რომ მოეგო, პაპას გულში ჩაეკრა და ატირდა.

— ციებინავით კანკალეხს. — თქვა პაპამ ნაღვლიანად და საბანი ამოუკეცა.

— რატომ ყვიროდა, ნეტ? — იკითხა აჩიკომ.

— დედას ეძახდა, შვილო. — უპასუხა პაპამ და მერე სინანულით დაუშატა: — მე უბედურს აღარ გამახსენდა, გამეფრთხილებინეთ, ლამპა არ ჩააქროთ-თქო. ზაფრადაცემულია საცოდავი.

— ეგლა გვაკლდა... — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა დედამ.

— რა თქვი, მართა? — ჰკითხა პაპამ.

— არაფერი.

— შიოხარი, რაც გულში გაქვს. ზურგსუკან ლაპარაკს პირში თქმა ჯობია, ხომ იცი?

— ამ მეორედ მოსვლაში უცხო ბავშვს ვერ მოვუვლით-მეთქი... ეს მინდოდა მეთქვა. — მიუგო დედამ გაუბედავად.

— მართა! — ხმას აუწია პაპამ. — თუ მამაშვილობა გწამს, შენი ღვიძლი ბიჭვით მიიღე. სიკვდილის გზაზე ნაპოვნია, იცოდე!

### პაპას სალაშქარი

დილით, გამეღვიძა თუ არა, თვალი დიომასკენ გამექცა, ახალგადა-ხოზლილი თავი სარკმელში შემოჭრილ მზის სხივებზე ოქროსფრად უბრწყინავდა. ფერმკრთალ სახეს ოდნავი სიწითლე შეჰპარვოდა. წუხანდელ სახეშეშლილ დიომას სულაც აღარ ჰგავდა. გამახსენდა: მძინარეს თვალი არ უნდა გაუშტერო, თორემ მაშინვე გაიღვიძებო. ფრთხილად წამოვდექი, ტანთ ჩავიცვი და ოთახიდან ფეხბაკრებით გამოვედი.

პაპა კაკლის ძირას იჯდა და გოღორს წნავდა. ხელი დამიქნია.

— რას შერება ბიჭი, სძინავს?

— სძინავს.

პაპამ ლაფნის წნელი აიღო, ხელში შეათამაშა და, სანამ წვნას შეუღებოდა, ღიმილით გადმოიმხედა:

— ხო კაი ძმა მოგიყვანე, გოჩიტა?

— მძინარე კაია, მღვიძარე კი...

პაპამ გოდრის გვერდს ერთი წნელი დააწნა და მეორეს რომ იღებდა, წარბშეკვრით წამოიწყო:

რომ ყვირის და ნერვიულობს, იმიტომ არ მოგწონს? შენ სიზმარშიც ნუ გენახოს, შვილო, რაც მაგან ცხადად ნახა. პირზე დედის ხსენი არ შემშრობია და უკვე ომის მონაწილეა. მერედა როგორი ომის!..

პაპას ხმა აუკანკალდა.

— კაი ბიჭია! — ვთქვი უკვე დარწმუნებით.

— ჰოდა, თუ კაი ბიჭია, შენ იცი, როგორ ძმობას გაუწევ! არ აწყენინო, რაც გითხრას, ყველაფერი დაუჯერე.

— რა უნდა მითხრას, ქართული არ იცის და...

— ისწავლის, შე კაცო! სათამაშოები თუ გაქვს ბლომად?

— სათამაშოები ქვეყნისა მაქვს.

— ვთქვი და მოსატანად გავიქეცი. თითქოს ჩემს სათამაშოებს პირველად ხედავდომო, პაპამ სათითაოდ შეათვალიერა:

— შურდული და ანკესი კაი გქონია. ხელთოფსაც არა უშავს. ბიჭოს, ეს მშვილდ-ისარი ვიღამ გაგიკეთა?

— აჩიკომ.

— ყოჩაღ აჩიკო! მშვილდ-ისარი ჩვენს დიომასაც ძალიან მოეწონება.

— ჯოხის ცხენებიც ბლომად მყავს.

— მართლა?! — გაიკვირვა პაპამ და წნელების გროვიდან ლერწამი ამოაძვრინა. — ცხენებიც თუ გყავთ, მეტი რაღა გინდათ! მე ავერ სალაშქრის გაგიკეთებთ. მოახტით რაშებს, დაუჯარით სალამური და იარაღი ჩინდრიკ-ჩინდრიკით სოფელ-ქვეყანაზე!

პაპამ ლერწამი ორად გაჭრა და მკითხა, ენიანი სალამური გაგიკეთოთ, თუ უენოო. ენიანი-მეთქი. რამდენიმე წუთის შემდეგ სალამური უკვე მზად იყო. პაპამ საცეკვაო დაუჭრა და თვალთ მანიშნა: აბა, ჰე, ჩამოუდავლურეო. ის იყო ხელები გავშალე და, დიომას ყვირილიც გაისმა. პაპა წამოდგა და სახლისკენ წაუტყუხდა. მეც მივყევი. დიომა დარბოდა ოთახში, თან გაშმაგებით ყვიროდა. პაპა კარებთან შედგა და გადმომილაპარაკა: საცეკვაოს დაუჭერავ და ისე იხტუნე, როგორც დიომა დაძუნძულეხსო. მეც მეტი არ მინდოდა, დავსტყვილე „ასა“, „ასა“ და მოვყევი წაღმა-უკულმა ხელები-

სა და ფეხების ქნევას. დიომას შეჩივრება ჩერდა. ერთხანს გაკვირვებით მიყურებდა, მერე გაიცინა, პაპასთან მიიბრინა და რალაც უთხრა.

პაპამ სალამური ჯიბეში ჩაიღო და კმაყოფილებით ჩაილაპარაკა: ეს კაი ხერხი მოვიგონეო.

### ვერცხლის ქანარი და ოქროს ბეჭილი

მგზავრობიდან რომ დაბრუნდა, პაპამ ნახევარი პური მოიტანა. მე და აჩიკომ მაგილაზე დადებაც არ ვაკალეთ, ხელიდან გამოვტაცეთ და მაღიანად შევექეცით. მერე ვახშმად დიომას ვაჭამეთ, ცოტ-ცოტა პაპამ და დედამაც წაილუქმეს და დილისათვის ნამცეციც აღარ იყო. საუზმისათვის დედამ მჭადი გამოაცხო. დიომამ დაგვადონა, მჭადს ხელიც არ ახლო. ბალლი პურით არის ვაზრდილი, მჭადი, ალბათ, თავის დღეში თვალითაც არ უნახავსო, თქვა დედამ და მერე სინანულით დაუშატა: ასე რომ მცოდნოდა. პურს წუხელ ამ ბალლისთვის შევინახავდი და გამოვუზოგავდიო.

— თუკი გშია ზაქარია, ცივი მჭადიც შეაქარია, — ჩაუშარია პაპამ და დიომას გადახედა. — ალბათ, არ შია ჯერ, თვარა მომშეული კაცი მჭადს კი არა, ქალამანს შემოიკვნეტს ფეხზე!

დიომა მჭადს სადილზეც რომ არ მიეკარა, მაშინ კი აწრიალდა პაპა. არიქა, ბალლი შიმშილით არ მოგვიკვდესო, თქვა და მე და აჩიკო მეზობლებთან მიგვაგზავნა. მთელი ჩვენი უბანი დავიარეთ და პურის პატარა ნატხეც კი ვერ აღმოვაჩინეთ. მერე პაპა აპირებდა გაღმა უბანში წასვლას, მაგრამ დიომა კალთაზე ჩამოეკიდა და ეზოს იქით ფეხი არ გადაგმეგინა. დედა წავიდა. დაღლილი მოგვიანებით დაბრუნდა, ძლივსძლივობით ერთი ქერის პური ეშოვა. დიომას თვალები გაუბრწყინდა და ქერის ხმაიადი ხაჭაპურით ეგემრიელა.

— უპურობას ვდარდობთ და ხვალის შემდეგ მჭადიც აღარ გვექნება... — თქვა დედამ, ვახშმად რომ დავსხედით.

— რამ გაგიტეხა გული, შე ქალო! — შემოუძახა პაპამ, — პურის ყანები უკვე შეიმრიშა. ორიოდ კვირაში კევრებს დავატრიალებთ, არ უნდა ლაპარაკი!

— მანამღე?

— მანამღე? — კითხვა დაუბრუნა პაპამ, — რალაცას გავანერხებთ, შვილო.





ქართული  
ენების  
სამეცნიერო  
ცენტრი

რომ ვივანხმეთ, პაპა ერთხანს კი-  
დევ ჩაფიქრებული იჯდა. მერე წა-  
მოდგა, „ხალაში“ ავიდა, თავისი  
ვერცხლის ქამარი ჩამოიტანა და ლე-  
დას უთხრა:

— ხვალ უთენია თავს დავეცემი  
კბილის ექიმს. ეს ქამარი ერთი გირ-  
ვანქა წმინდა ვერცხლია. ჰოდა, ერთ  
გირვანქა შეურყვნელ ვერცხლს მე-  
ხუმრები შენ? ძე მგონი, კაი ფა-  
სად უნდა გავიდეს!

დედას არაფერი უპასუხნია, ოთა-  
ხიდან გავიდა, მცირე ხნის შემდეგ  
დაბრუნდა და პაპას წინ, მაგიდაზე,  
ოქროს ბეჭედი დადო: კბილის ექიმ-  
თან თუ მიდინარ, ბარემ ესეც წაიღე,  
ფული ფულს დაემატება და ცოტას  
მანც გავიმართებით წელშიო.

— ნიშნობის ბეჭედს მანც არ გა-  
გიყლი, მიწა რომ გამიხდეს შესაჭ-  
მელი! — უთხრა პაპამ და ბეჭედი  
ხელში შეათამაშა.

— ნიშნობის ბეჭედს როგორ შე-  
ველევი! ეგ ბებიაჩემის ნაჩუქარია.

დიომა ბეჭედს ერთხანს თვალგა-  
უტეხლად მიშტერებოდა, მერე უცებ  
წამოხტა, პაპას ხელიდან გამოსტა-  
ცა, მივიდა, დედაჩემს თითზე წამო-  
ცვა; დააცქერდა და გულამომჯდარი  
ატირდა.

— დედა აგონდება. საცოდავ ქალს  
შუათითზე ზუსტად ასეთი ბეჭედი  
უბრწყინავდა... — წაგვიჩურჩულა  
პაპამ.

### დიომა სასტუმრის აკეთიხს

დიომა ეზოში რომ გავიყვანე და  
ყველა ჩემი სათამაშო წინ დაფულა-  
გე, მეგონა, პირველად მშვილდ-ისარს  
ამოირჩიეს-მეთქი. მაგრამ არც  
მშვილდ-ისარს მიხედა, არც შურ-  
დულს, ხელთოფასაც არ ახლო ხე-  
ლი. მხოლოდ ანკესმა გაახარა. გა-  
ახარა და მერე როგორ! — ხელი  
სტაცა და თვალეზგაბრწყინებულმა  
წამოიძახა:

— Вудочка!\*

— „ვუდოჩკა“ კი არა, ის არ გინ-  
და! — ხელი გავუქნიე მე, — ეს ან-  
კესია!

დიომამ წარბები შეყარა და თით-  
ქოს ვართმევდი, ანკესი უკან წაიღო:

— Вудочка!

მე მანც ჩემსას გავიძახდი:

— შენ რა იცი... ეს ანკესია, ან-  
კესი!

დიომა გაბრაზდა და ხმას აუწია.

— ნუ ანერვიულებ, ბიჭო, მაგ  
ბაღს! — შემომიბღვირა პაპამ,  
გოდრის წუნს თავი მიანება და ჩვენ-  
კენ წამოვიდა.

— ანკესი რაღაც „ვუდოჩკა-ბუ-  
დოჩკას“ იძახის, არც თვითონ იცის  
და არც ჩემი სჯერა! — ვიმართლე  
თავი.

დიომა პაპას მიეგება, ანკესი მალ-  
ლა აღმართა, თან რაღაც სიტყვები  
მიყარა სეტყვასავით.

პაპა ღიმილით უსმენდა. დიომა  
გათამამდა, ანკესი მოიქნია და, ვი-  
თომ წყალში გადააგდო, ერთხანს  
გაქვევებული იდგა, მერე ნელ-ნელა  
მოსწია, მოსწია და უცებ მალა  
შეისროლა, შემდეგ ხელი იმგვარად  
აამოძრავა, თითქოს ნემსკაცვს თევზი  
ააცალა და ვედროში ჩააგდო.

ანკესით თევზაობა ზუსტად და  
ლამაზად გაითამაშა. გამეცინა. პა-  
პასაც ღიმილმა სახე გაუბადრა.

დიომა უფრო გათამამდა. აქამდე  
ხანდახან ორიოდ სიტყვას თუ წა-  
მოსვრიდა, ახლა აჭყლოვინდა და  
რაღაც ამბის მოყოლა დაიწყო. პაპა  
ყურადღებით უსმენდა, დროდადრო  
ჩაიქირქილებდა ხოლმე.

ვიდექი და შევეყურებდი, ინჩი-ბინ-  
ჩი არ მესმოდა. რამდენჯერმე პაპას  
კინაღამ კალთა ჩამოვავლიჯე, მითხა-  
რი, რას გელაპარაკებ-მეთქი. მაცა-  
ლუ და გეტყვიო.

— თევზაობის ამბავს მომიყვა,  
შვილო, — წამოიწყო პაპამ, დიომა  
რომ გაჩუმდა. — ბებიაჩემის სო-  
ფელში დიდი მდინარე იყო. ბიძას  
სათევზაოდ მეც მივყავდიო. ერთხელ  
ანკესი მომცა და მითხრა: აბა შენ  
სცადე, როგორი ხელი გაქვსო. მე  
ანკესი წყალში გადავაგდე და სულ-  
განაბული დაველოდეო. ერთი ცნა-  
ხით, ტიფტივა მაგრად შეინძრაო,  
თურმე ანკესს ჩემხელა ლოქო წა-  
მოგებია და, რომ მოვსწიე, თავი კე-  
ლარ შევიკავე, წყალში მოვადინე  
ტყაპანიო...

— არ დაიხრჩო?! — შევძახე გა-  
ვირვებით.

პაპამ გაიღიმა და დიომას თავზე  
ხელი მოუთათუნა:

— რომ დამხრჩვალყო, აქ რო-  
გორღა იქნებოდა! ცურვა იცის ბიჭ-  
მა. ისე უსვამს ბაყაყურს, თურმე ბა-  
ყაყებიც კი შენატრიან!

პაპაჩემის შექებამ დიომა ერთბა-  
შად აამაღლა ჩემს თვალში. პაპას  
ჯიბეზე ხელი მოვუსვი, სალამური  
მოგვეცი-მეთქი. არაო, მე მჭირდე-  
ბაო, თქვენ სასტუმრს გავიკეთებთო.  
შარაგზაზე გავიდა, ვერხვს პატარა  
შტო შეატანა, შტოზე ორი გოჯი  
ვადანობდა და გადაჭრა. შემდეგ დანა  
ხელში შეიბრუნა და ტარით დაუწყო  
ჯოხს ცემა, თან იმეორებდა:

ლოპე, ლოპე, ლოპეშია,  
ლობემძვრალა ლობეშია;  
ლობემძვრალა გამოძვრება,

მერე იცით რა მოხდება?  
ჯოხი ქერქში გამოხტება.

სამეგრე რომ გაიმეორა, ქერქს ცე-  
რა თითო გაუსვა და მართლაც თეთ-  
რი ჯოხი გამოაძვრინა. ქერქს ჩასა-  
ბერი ამოუჭრა, თავსა და ბოლოში  
ჯოხის გადანაჭრები დაუცო, ჩაბე-  
რა და სასტუმრმა ისეთი ხმა გამოს-  
ცა, მეორე უბანშიც გაიგონებდით.

პაპას დანა გამოვართვი, მეც უნდა  
გავაყეთო-მეთქი. ჩემს შემდეგ დიო-  
მამაც მოინდომა ხელის გავარჯიშება.  
განსაკუთრებით ლექსი მოეწონა.  
ურტყამდა ჯოხზე დანის ტარს და გა-  
უთავებლად იმეორებდა:

ლოპე, ლოპე, ლოპეშია,  
ლობემძვრალა გობეშია...

### ჩხიხი თარჯიმანი

დიომა მალე შეგვეჩვია, განსაკუთ-  
რებით მე დამიძმაკაცდა. ყველაფერ-  
ში მზადავდა. რომც არ სწყურებოდა,  
წყალს თუკი დავლევი, ისიც უშე-  
ველად დალევა. ჩემი წამხედურო-  
ბით თანდათან მჭადის ქამასაც მიპ-  
ყო ხელი და ლომიაც ეგემრებოდა.

ჩემი და დიომას საუბრისათვის  
რომ გეყურებინათ, სიცილით გაიგუ-  
ლებოდით: ხელებითაც ვლაპარაკობ-  
დით, ფეხებითაც; თვალებითაც; თა-  
ვითაც... მუნჯურად რომ ვერ გავა-  
გებინებდით ერთმანეთს, ის უკრა-  
ინულად იტყოდა რაღაცას, მე ქარ-  
თულად ვუპასუხებდი, მერე ის რუ-  
სულს ჩაუბრუნებდა... კიდევ კარგი,  
რუსული იცოდა. თურმე ბებია ჰყავ-  
და რუსი.

რუსულსაც რომ ვერ გავუგებდი,  
მერე პაპა და მისი ჯანი! ერთ კილო-  
მეტრზეც რომ ყოფილიყო, მასთან  
თავქუდმოგლეჯილი გავბრბოდით და  
თარჯიმნობას ვთხოვდით.

პირველი ქართული სიტყვა, დი-  
ომამ რომ ისწავლა, „დედა“ იყო —  
ჩემი წაბაძულობით დედაჩემს მანაც  
დედა დაუძახა.

### როგორ მავობა დიომას სახეობ

ჩვენს უბანში დიომას ყველა შვი-  
ლივით უყურებდა, ყველას ეცო-  
ლებოდა. ზოგიერთები პატარ-პატარა  
სასუსნავსაც კი გამოუნახავდნენ  
ხოლმე. მის გამო მეც პირის პატივ-  
ში ვიყავი.

ყველაზე უფრო კეკე დიდდამ გაგ-  
ვანარა: ერთ სალამოს დაგვიძახა და  
ორ-ორი ფილა შოკოლადი მოგვცა.  
მზე დასავლეთიდან ამოსული რომ  
დამენახა, ალბათ ისე არ გამიკვირ-  
დებოდა, როგორც იმ მოულოდნელმა  
საჩუქარმა გამავიკრვა. იმ დროს შო-  
კოლადი ისეთი იმვითი ხილი იყო,  
პატარები მასზე ოცნებაც კი არ შეგ-



ვედლო. ვერ გავიგე, ორივე ფილა ისე გამოძირდა, ხელში. დიომას გადავხედე. ისიც ტუჩებს იწმენდა და ენას აწვლაუნებდა. მეგონა, მოკოლადი მანაც მთლიანად შექამამეთქი. ეზოს რომ მიფუხლოვდით, გამისწრო, შიირბინა დედამთან, უბეში ხელი იკრა, ერთი ფილა ამოაძვრინა და მისცა. ვინ გაჩუქაო, გავიკრავა დედამ. დიომამ უთხრა.

— ოო, კეკე კი მოგცემდათ, შეილი ქალაქში ქარხნის დირექტორი ჰყავს და... — აღარ დაამთავრა დედამ და შოკოლადი ისევ დიომას მიაწოდა: — შენ ქამე, შეილო.

დიომამ ხელით ანიშნა, მე უკვე ვკამე, ეს შენ მოგიტანეო. მეც ვუთხარი, ორ-ორი ფილა მოგვცამეთქი. მეგრედა, შენ რატომ არ გავახსენდიო, მისაყვედურა დედამ, დიომას კი ხელი მოხვია და შოკოლადი უბეში ძალით ჩაუღო.

რალა მეთქმოდა: ცხადი იყო დიომამ მაჯობა.

\*\*\*

გაცხარებული ვმუშაობდით, ლობის პირას „სახლს“ ვაშენებდით. შარავზის მოსახვევში პაპაჩემი გამოჩნდა. ზურგზე ვეება ფიჩხის კონა მოეგდო, ცალი ხელით კი კალათას მოათრევდა. ჩანდა, უჭირდა, ძლივს მობაჯბაჯებდა.

— პაპა მოდის. — ვთქვი და „მუშაობა“ განვაგრძე. დიომამ გზას გახედა. რომ დარწმუნდა, არ ვტყუოდი, სახლის „თავხედ“ გამიზნული ჯობი იქვე მიაგლო და პაპას შესახვედრად მოკურცხლა.

— სად მიიბნის, ბიჭო? — გადმომძახა დედამ ბოსტნიდან.

— პაპა დაინახა და... — ისე ვუპასუხე, თავი არ ამიწვევია.

რამდენიმე წუთის შემდეგ პაპამ მძიმედ შემოაბიჯა ეზოში. უკან დიომამ მოსდევდა და კალათას მოაჩანთურებდა.

პაპამ ფიჩხის კონა საბძლის წინ დააგდო, სახეზე ოფლი მოიწმინდა და დედის გასაგონად ჩაილაპარაკა:

— სულზე არ მომისწრო!

— დიომამ? — ჰკითხა დედამ.

— ჰო, ჩვენმა დიმიუქამ. ის იყო კალათა ხელიდან უნდა გამვარდნოდა, ქურციკივით მოიხრბინა და წამომეშველა.

დიომამ პანტით საესე კალათა ფიჩხის კონასთან დადგა და ვითომ ოფლს იწმენდსო, სახეზე ხელი მისე-მოისევა პაპასავით.

— შენ რატომ არ მიეშველე, ბიჭო? — მისაყვედურა დედამ. — უცხო ბაღლმა უნდა გაჯობოს? — ვინა თქვა უცხოაო?! — წარბე-

ბი შეკრა პაპამ და დიომა გულზე მიიკრა.

დიომას შექება, ცოტა არ იყოს, შემშურდა.

„ეს არის და ეს, მეტყვერ აღარ ვაჯობინებ“. — გავიფიქრე და „სახლის“ მშენებლობა განვაგრძე.

\*\*\*

აჩიკომ მე და დიომა სამწყესურში წავგიყვანა. გავერთეთ, მაგრამ რა გავერთეთ: ბავშვების ჯარს ცა ძირს ჩამოგვექონდა ყიყინით. ერთხანს დიომამაც ფეხი აგვიწყო, მეგრე ჩირგვებსა და ბუჩქებში განაპირდა და ყვავილების კრეფა დაიწყო. მივირბინე და ხელის მოშველებით გავაგებინე: ყვავილები რა ეშმაკად გინდა, წამო, ითამაშე-მეთქი.

— Букет! შემომცინა დიომამ.

— ბუტეტი კი არა, ის არ გინდა!.. წამოდი. — ხელი მოგვიღე. არ გამოწყევა. მეც ბუფრი აღარ მიხვეწნია. გავიქეცი და ისევ ბავშვებს შევუერთდი. ჰოდა, მე შინ მტვერში ამოგანგლული ცარიელი ხელებით დავბრუნდი, დიომამ კი მშვენიერი ყვავილების თაიგული მოიტანა. ეზოში შევედით თუ არა, „დედაო“, შესძახა. დედამ კეკე დიდედას სახლის აივნოდან გააგონა. დიომამ იქით გაიქცა. მეც მივყევი.

— Вот мой подарок! — უთხრა დედაჩემს და თაიგული მიაწოდა. დედას სახე გაებადრა, თაიგული ჩამოართვა და დაყნოსა. უჰ, რა კარგია, პირდაპირ გული მიპოვნაო, შესძახა სიცილით, მეგრე დიომას ხელი მოხვია და აკოცა. პირველად იყო, დედამ დიომას რომ აკოცა.

— რა საზრიანი ბაღლი ყოფილა, უყურე შენ?! — თქვა კეკე დიდედამ და მე გადმომხედა: — ბიჭო, შენ რალა მოუტანე დედას?

თავი დავხარე. და უნებურად მტერიან ხელებზე დავიხედე.

### ხიზათი და ცრიხლვაი

დიომა თანდათან მოფერიანდა. დამშვიდდა კიდეც, სახის ნაკვთები თანდათან დაუღაგდა. ძილში კი წამოიტირებდა და წამოიყვირებდა ხანდახან, მაგრამ ხტუნვასა და ფეხების ქნევას აღარ მოჰყვებოდა ხოლმე ძველებურად. პაპაჩემს სალამური ტყუილად ედო ჯიბეში. ოღონდ ეს კი იყო, ისევ პაპასთან წვებოდა, მე და აჩიკომ ვერ იქნა და ვერ გადმოვიბირეთ, ჩვენთან



ვერ დავაძინეთ. ცოტახანს კი ჩავვიგორდებოდა ლოგინში, მაგრამ ძილის მოძალეხას იგრძნობდა თუ არა, ისევ პაპასთან გარბოდა.

— რას ვიფიქრებდი, ეს წაღლი გულს თუ ასე მალე დაიმშვიდებდა და ჩვენს ქუდს დაიხურავდა. თუმცა ბავშვი და ლეკვი ერთი და იგივეა: ოღონდ დღეს იყვნენ კარგად და გუშინდელს ადვილად ივიწყებენ... — იტყოდა პაპა და დიომას გულში იკრავდა.

არ აღმოჩნდა პაპა მართალი: ბავშვი არც ეგრე ადვილად დაივიწყებდა თურმე გუშინდელს...

\*\*\*

იმ დღეს აჩიკოს ავტუტყდი: სათევზაოდ წავგიყვანე, დიომა ძველი მეთევზეა და გაუხარდება-მეთქი. როგორც იქნა დავითანხმე. ნეტავ არ დამთანხმებოდა...

წავიღეთ ანკესები და წავედით. ჩვენს სოფელს დედე ჩამოუღლიოდა, ტანაშოლტილი თხმელებითა და და-



ვაჭული კუნელის ჩირგვებით დაბურული. წვიმიანში, იცოცხლე, ხმაურით წამოიქოჩრებოდა და დიდი გული მიეცემოდა. სამაგიეროდ, ვვალვას დაიჭერდა თუ არა, ისე საცოდავად მოწანწყარებდა, იფიქრებდი, ან ახლა დაშრება, ან ახლაო. თუმცა დამშრალი ერთხელაც არავის უნახავს. ამიტომ იყო, ჭიჭყინა თევზი იმ ლელეში საკვებსა და თავშესაფარს ყოველთვის რომ პოულობდა...

ლელესთან მივედით თუ არა, მე და აჩიკო წყალში დიდის ამბით შევტყალაუნდით. დიომა კი ნაპირზე დადგა, ანკესს მათრახივით იქნევდა და გაკვირვებული გვიყურებდა.

— Это ручей! — წამოიძახა გვიან-გვიან და სახე ისე მოჭყანა, თითქოს მკვახე ტყემალი ვაღეჭათ.

— რუჩეი კი არა, მდინარეა! — უბასუხა აჩიკომ და მერე მე გადმომილაპარაკა: — ერთი ავდარმიც მოვიყვანოთ და მერე ვნახოთ, თუ კიდე იტყვის, ნაკადულიაო!

რამდენადაც უფრო გვინდოდა დიომასთვის დაგვემტკიცებინა ჩვენი „მდინარე“ თევზუხეიაო, იმდენად მეტად დავითარსეთ. ორივე ძმა კარგახანს ვაფათურებდით ხელებს გუბებში ქვების გარმემო, მაგრამ ერთი ლიფსიტაც ვერ დავიჭირეთ.

— აქ ტყუილა დავტყაპუნობთ, წავიდეთ ხეურაზე. — მითხრა აჩიკომ და ნაპირს მიაშურა.

— Много поймали? — შემოეგება სიცილით დიომა.

— ჰო, დავიჭირეთ! — გამოჩაგრებით უბასუხა აჩიკომ და მერე დაქანებით ჩაილაპარაკა: — მოიცა, მივიდეთ ხეურაზე და გიჩვენებ, როგორ უნდა თევზაობა!

ხეურა ჩვენს ლელესთან შედარებით მართლაც წყალუხვი მდინარე იყო. მთაში იბადებოდა და მთის სიწმინდე მოსდევდა. მოჩქეფდა და მოკამკამებდა, ფსკერზე კენჭები დაეთვლებოდა. ალაგ-ალაგ ისეთი დარანები ჰქონდა, ანკესს ზოგჯერ ზრდადასრულებული კალმახი წამოეგებოდა ხოლმე.

გზატყეცილით ხეურამდე ბარე შვიდიოდე კილომეტრის გავლა მოგვიწევდა. მოკლეზე მოვჭერით: ავადირეთ თავი და პირდაპირ ყანა-ყანა გავსწიეთ. ყანები დამთავრდა, მას მოჰყვა ზვრები, ზვრებს — ტყის ვიწრო ზოლი. ბოლოს კი გამოჩნდა ქვალორღიანი შიშველი გორაკები, ოღროთლორებით რომ უერთდებოდა ერთმანეთს.

მზე ისეთ წერტილზე იყო, ყოველ სულიერსა და უსულოს თავისი ჩრდილი რომ ეკარგება. სამარისებურ სიჩუმეში კალიების ტომის ხმაც კი ისმოდა. ჩვენც უხმოდ მივაბიჯებდით.

როცა ავიადმართეთ და გორაკიდან ქვემოთ გადავიხედეთ, ისე აგვიფოფინდა თვალები, თითქოს ახალი ქვეყანა აღმოგვეჩინოს. დაცემულ

ვაკეზე მდინარე ისე ლაპლაპებდა. იფიქრებდი, მთიდან ვერცხლობდა. ლი მოედინებო.

— Речка! — წამოიძახა დიომამ და ხეურასკენ ხელი გაიწვდინა.


ის იყო აჩიკო მიუბრუნდა და რაღაც უნდა ეთქვა, რომ ჩვენგან ოციოდე ნაბიჯზე, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, სამხედროფორმიანმა კაცმა წამოსწია თავი და წითელი ალაში დაგვიქნია გულმოსულად: დაწე-ქითო. მე და აჩიკო მოსხებილივით მიწას გავეკარით. დიომამ კი ვერ გაიგო რა მოხდა, იდგა და აცეცებდა თვალებს, სანამ აჩიკომ არ სტაცა ხელი ფეხში და გვერდით არ მიიწვინა.

ერთხანს გასუსული ვიყავით, მერე ნელ-ნელა წამოგველუყელავდით და ქვემოთ გადავიხედეთ. მდინარის მეორე მხარეს კიდეც უფრო მაღალი გორაკები მოჩანდა. ერთი გორაკის ძირში თვალი მოვკარით რაღაც უძრავ ფიგურებს, ადამიანებს რომ ჰგავდნენ.

უეცრად აჩიკომ ბლიკვი წამკრა: სად ეშმაკებისაკენ იყურები, ავერ ნახე, რა ხდებო. აჩიკოს თითქოს ოცალი გავაყოლე. ახლალა შევეამჩნიე ჩვენს ქვემოთ გრძელი თხრილი, საიდანაც შეიარაღებული მეომრები ამორობდნენ და ხოხვით მიიწვედნენ ფიგურებისაკენ. ხეურას რომ მიუახლოვდნენ, მოულოდნელად გაისმა მჭექარე ხმა:

— ასეულო, ცეცხლი! მებრძოლებმა ფიცხლად წამოიჩოქეს. შამხანები შემართეს, დაუმინეს და ისეთი ბათქა-ბუთქი აუყენეს, კინალამ ყურის ბარაბანი გავესყდა. რამდენიმე ფიგურა წაიქცა და მიწას განერთხო.

— Война! — შესძახა უცებ დიომამ და ზეზე წამოხტა. თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა. მთელი სხეულით კანკალებდა. აჩიკომ წამოიწია, ხელი სტაცა, მაგრამ ისევ მალე დაუძვრა და ყვირილით გაიქცა. ჩვენგან ოციოდე ნაბიჯით შეჩერდა და ჩიკორივით დაიწყო ბზრიალი, თან რაღაც შემხარავად იჭაჭებოდა:







*ქურაქებო, ხურაქებო, ვუკუცებო*

— Война!.. Война-а!..  
 საოცარი იყო: სამხედროფორმიან კაცს, ჩვენ რომ ორიოდ წუთის წინ გაბრაზებით ალაში დაგვიქნია — დაწეპითო, დიომას ყვირილი მგონი არც ესმოდა. იყო მიწაზე გართხმული და მთელი გულისყური ბრძოლის ველისკენ ჰქონდა. ხეურას „ფრონტზე“ საბრძოლო მოქმედება თანდათან იძაბებოდა. მეომრებმა შაშხანების გრიალით მიირბინეს მდინარესთან, მერე ზედ თხემელის ლატანი გასდეს და სათითაოდ იწყეს მეორე ნაპირზე გადასვლა. რამდენიმეს ფეხი დაუცდა და შუა მდინარეში მოადინა ტყაპანი. სხვა დროს ასეთი რამ რომ დამენახა, ალბათ ერთი მადიანად ჩავიხიბოთებდი, ახლა კი ვის ჰქონდა სიცილის თავი. ტანში ქრუანტელი მივლოდა. კი ვხვდებოდი: უბრალო წვრთნა და ფარჯიში რომ იყო, მაგრამ გულს მაინც ვერ ვაჩერებდი საგულეში... აჩიკოს გადავხედე. ისიც დაზაფრულს ჰგავდა. იმდენსაც ვერ ვახერხებდით, რომ წამოვმხტარიყავით, დიომასთან მიგვერბინა და დაგვემშვიდებინა...  
 მეორე ნაპირზე გასულმა ერთმა მებრძოლმა უეცრად „ვაშაო“ შეჰყვირა და ფიგურებისაკენ ხიშტიმომარჯვებული გაქანდა. მას სხვებიც ვაშას ძახილით მიჰყვენენ. უცებ, მთებიდან ორი თვითმფრინავი ამოგუვუნდა. პირდაპირ ხეურასკენ გამოემართნენ და ისე დაბლა მოფრინავდნენ, მეგონა, გორაკებზე ფრთებს წამტერებდნენ-მეთქი.  
 მეომრები რომ ხეურაზე გადადიოდნენ, დიომა ერთხანს შეჩერდა, „ფრონტს“ უხმოდ გაჰყურებდა. მაგრამ თვითმფრინავები გამოჩნდნენ თუ არა, ისევ გადაირია:  
 — Ненька! Ненька! — შეჰყვირა, მერე ღრიალი მორთო და თავქვე რბენით დაეშვა. დაბრუნდით, შესძახა „ალშიანმა“, მაგრამ მისი ძახილი ვის ესმოდა. „ალშიანი“ წამოხტა ზეზე და გამოედევნა. „ვაიმი, დედაო“, ამოიღმუვლა აჩიკომ და დიომასკენ გავარდა. მეც მივყვივი...

გაფრინდით,  
 ფრინველებო გულცივო, —  
 მერცხლებო,  
 ოფოფებო,  
 გუგულებო!  
 როდემდე ვიყო უციგოდ,  
 უთოვლოდ,  
 უზამთროდ,  
 უგუნებოდ?

გაფრინდით, მწყერებო,  
 წეროებო,  
 გააბით ცაზე ბაწრები,  
 დათოვოს მათაა წვეროები,  
 ისედაც  
 თოვლში ნაწები.

გაფრინდით,  
 მოფრინდეს ფიფქები,  
 ვზივარ უციგოდ, უგუნებოდ,  
 როდემდე იქნებით, იქნებით,

მერცხლებო,  
 წეროებო,  
 გუგულებო?  
 ვაითუ,  
 ბელურებს წაბაძეთ,  
 ან გაცდენთ  
 ამინდი დამთბარი,  
 თქვენ რომ არ გაფრინდეთ,  
 წაბრძანდეთ,  
 როგორ მობრძანდეს  
 ზამთარი?!

გაფრინდით, გაფრინდით,  
 გულცივო —  
 მერცხლებო,  
 სკვინჩებო,  
 გუგულებო,  
 როდემდე გავძლოთ უციგოდ, —  
 როდემდე ვიყოთ უგუნებოდ?!

*კვამლის საყრდენები*

რა შევესწრებით  
 ხვარიელ ზამთარს,  
 თოვს,  
 ბარდნის,  
 თოვს  
 და აღარ გვაყენებს,  
 რომ არ დაემხოს ცის თალი მთა-ბარს,  
 ფრთხილად ვუყენებთ  
 კვამლის  
 საყრდენებს.

ბოლავს ბუნრები მხოლოდ ამიტომ,  
 გრძობენ  
 სიმძიმეს  
 კვამლის  
 სვეტები,  
 თოვლქვეშ მოყოლილ ფერად კრამიტებს  
 გააქეთ ტკაცანი თავგამეტებით...

*შორი გზებზე მოვლით*

დაგას დეკემბრის დილა,  
 ისევ არ ჩანს  
 თოვლი,  
 ხომ არ მოდის ფრთხილად,  
 შორი გზების მოვლით?!  
 მოუხმობენ ნატვრით:  
 ლელა,  
 გია,  
 ეკა,  
 ის კი ისევ ბარდნის  
 მამისონს და ზეკარს.

ჭინჭარივით მსუსხავს,  
 ქარბუქიანს,

აფთარს, —  
 იქნებ გზები სულ სხვა  
 დაეისზმრა ზამთარს?!

ნეტა სად  
 ან როდის  
 ჩამოაღწევს ბარად,  
 ტაატიტ რომ მოდის,  
 ვის ედება ბრალად?!

აგერ!  
 აქეთ-იქით  
 ცას სხვა ფერი ეკვრის,  
 ჩვენც გვეწვია ფიფქი  
 ლოლუების ეკლით...






# ფილანთია-



## -საბჭოთა სამყარო



ყველამ როდი იცის, რომ შარშანწინ ამერიკელ კოსმონავტებს მთვარეზე დამჯდარი ხომალდის „აპოლონ — 15“-ის ეიპაეის წვერებს — დევიდ სკოტს, ჯეიმს ირვინსა და ალფრედ უორტენს ოფიციალური საყვედური გამოუცხადა ამერიკის შეერთებული შტატების აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნულმა უწყებამ.

რა იყო საყვედურის მიზეზი? მათ მთვარეზე წაიღეს 400 საფოსტო კონვერტი, რომლებზეც დაკრული იყო საპეციალურად გამოშვებული მარკები. თითოეულ მათგანზე ეწერა: „მთვარეზე დაფრენა 1971 წლის 30 ივლისი“. კონვერტებს ამშვენებდა თვითონ კოსმონავტების ხელმოწერა.

ერთმა დასავლეთგერმანელმა საქმოსანმა ეს კონვერტები გააყიდა, როგორც განსაკუთრებით ძვირფასი სუვენირები. მიუხედავად იმისა, რომ კონვერტები ზღაპრულ ფასად — თითო 1500 დოლარად დააფასა, ყველა ერთბაშად გაიყიდა.

„მთვარეზე ნამყოფი“ კონვერტების ისტორია ჯერ ერთი იმის დამადასტურებელია, რომ კაბიტალის სამყაროში მოგებას გამოდევნებული საქმოსნები დაურიდებლად არღვევენ მორალისა და ეთიკის ელემენტარულ ნორმებს; მეორე — იგი ცხადყოფს, როგორ თავგამოდებით ცდილობენ ფილატელისტები კოლექციების შეგებას უნიკალური ექსპონატებით.

ფილატელისტები მაძიებელი, ინტერესიანი, ბევრის მცოდნე ხალხია. ისინი თითქმის ყველა ქვეყანაში, ყველა ქალაქში არიან. ფილატელით თანაბრად არიან გატაცებული როგორც ბავშვები, ისე კაბულები და ხანდაზმულებიც. ეს გატაცება ასაკს არ დაგიდევთ. უფრო ხშირად კი ბავშვობიდან იწყება.

თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში სარკებიან დარბაზს რომ ჩაუვლით და ხის კბეებით ზემოთ ახვალთ, მხარეთმცოდნეთა კაბინეტში მიხვალთ. სწორედ აქ იკრებიან კვირაობით თბილისელი ნორჩი ფილატელისტები. მათ მუშაობას ვეტერანი ფილატელისტი, სამსახურიდან გადამდგარი პოლპოლკოვნიკი იოსებ გოლდენშტეინი ხელმძღვანელობს.

კლუბის პროგრამა სამწლიანია. დამწყები ფილატელისტები აქ ეცნობიან ფოსტისა და ფილატელიის განვითარების ისტორიას, აწყობენ გამოფენებს, აგროვებენ კოლექციას, აკეთებენ ალბომებს, კითხულობენ ჟურნალს „ფილატელია სსსრ“.

ცდება ვინც ფიქრობს, რომ ფილატელისტები მარტოოდენ მარკებს აგროვებენ. არა, ისინი ამ მარკებს სწავლობენ. ნორჩ ფილატელისტთა კლუბის პირველი და მთავარი ამოცანაც ეს არის.

ვთქვათ, მარკაზე სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი ნიმუში — მძინარე მადონა გამოსახული შადრევნისა და მწვანე კვიპაროსების ფონზე.

ფილატელისტი გეტყვით, რომ ეს მარკა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაშია გამოშვებული ცნობილი გერმანელი მხატვრის ლ. კრანხის დაბადების 500 წლისთავთან დაკავშირებით; ჩამოგითვლით იმ ცნობილ ტილოებს, რაც უფნჯის ამ ოსტატს შეუქმნია, იმასაც გეტყვით, რომელი ნახატის რეპროდუქციებია გადატანილი მარკებზე.

არის მარკები, რომლებიც დიდი იშვიათობა გამხდარა და, ასე გასინჯეთ, მსოფლიოში მათი მხოლოდ თითო ეგზემპლარია ცნობილი.

საინტერესოა ვიცოდეთ, როგორი იყო პირველი საბჭოური მარკა.

ამ მარკაზე გამოსახულია მხატვრიანი მარკვენი, რომელთაც ზოგჯერ ამხსვრევს, რაც სიმბოლურად გამოხატავს მუშათა კლასის მიერ ქვეყნის ხსნას ჩავერისა და ტანჯვის ბორკილებისაგან. აქედან მოყოლებული, საბჭოური მარკებსა და კონვერტებზე ასახა ჩვენი ქვეყნის ისტორიის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა.

1970 წელს გამოცემულ კატალოგში აღწერილია 3840 საბჭოთა მარკა.

კიდევ ბევრ საინტერესოს იგებენ ნორჩი ფილატელისტები თავიანთ კლუბში. აი თუნდაც: გამოჩენილი ადამიანებიდან ვინ იყო გატაცებული ფილატელით?

— მაქსიმ გორკი კაპრიდან უგზავნიდა მარკებს თავის ნაცნობ ფილატელისტებს.

— დიდი რუსი მეცნიერი პავლოვი ამბობდა: როცა მუშაობით ვბღლები, ჩემი კოლექციის თვალთრებით ვისვენებო.

— ბულგარელი ხალხის გამოჩენილ შვილს გიორგი დიმიტროვს ეკუთვნის მოსწრებული თქმა: „საფოსტო მარკა ქვეყნის სავიზიტო ბარათია“.

— რუნდევნი, კრესერ „ვარიაცის“ კაბიტანი, ცნობილი ფილატელისტი იყო.

— აშშ-ს ყოფილმა პრეზიდენტმა რუზველტმა დატოვა საფოსტო მარკების უნიკალური კოლექცია. — სხაბასხუებით გეტყვიან კლუბის წევრები.

დღეს კლუბში 100 მოსწავლეა გაერთიანებული. ყოველ კვირას მათი რიცხვი სულ უფრო და უფრო იზრდება. ასე რომ, მხარეთმცოდნეობის კაბინეტი (ცალკე ოთახი ჯერ კიდევ არა აქვთ) ვერც კი იტევს ნორჩ ფილატელისტთა კლუბში მუშაობის მსურველთ.

როგორ მოვიდნენ ისინი აქ, რითი დაიწყეს, რას მიანდწიეს, კმაყოფილნი არიან თუ არა კლუბის მუშაობით?

მოეუსმინოთ ნორჩ ფილატელისტებს.

ვადიმ ბარგი, თბილისის 64-ე საშუალო სკოლის მოსწავლე, 15 წლის:

— პირველად ისე დავიწყე მარკების მოყვრება, რომ ფილატელიაზე მაინცდამაინც ნათელი წარმოდგენა არა მქონია, უბრალოდ, მინდოდა რაც შეიძლება მრავალფეროვანი კოლექციის მფლობელი ვყოფილიყავი. ამიტომ განუჩრჩველად, ყველაფერს ვაგროვებდი.

მერე გავიგე, რომ შეიძლება გქონდეს ბევრი მარკა, მაგრამ ეს





არ იყოს კოლექცია. მამინ დავიწყე მხოლოდ თემატიკური კოლექციის შედგენა. გამიტაცა თემა: კოსმოსი და მისი გმირები. ამ პერიოდში დავიწყე მუშაობა ნორჩ ფილატელისტთა კლუბში. აქ კი ბევრი რამ გავიგე და შევისწავლე. არჩეულ თემაზე რიგიანი კოლექცია შევაგროვე.

ძალიან გამიხარდა, როცა პიონერთა სასახლეში და ჩვენმა კლუბმა არტეკში გამგზავნა ნორჩ ფილატელისტთა ყრილობაზე. - ეს იყო შარშანწინ. სულ ხუთი პიონერი წავედი. არტეკში სამი ბანაკი მხოლოდ ფილატელისტებით იყო დასახლებული, სადაც თითქმის 2 ათასი პიონერი ცხოვრობდა.

აბა, წარმოიდგინეთ, რაოდენ საინტერესო იქნებოდა 2 ათასი ფილატელისტის ერთად თავშეყრა, რამდენი რამ გვექნებოდა ერთმანეთისათვის გასაზიარებელი, და საჩვენებელი! ჩვენთან ჩამოვიდნენ უფროსებიც, რომლებმაც ძალზე საინტერესო ლექციები ჩავგიტარეს. მოეწყო გამოფენები. წარმოდგინილი იყო როგორც კოლექტიური, ისე ინდივიდუალური ექსპოზიციები.

ამას დაუმატეთ ორი თვის მანძილზე არტეკის საუკეთესო სკოლაში სწავლა, შესანიშნავი ექსკურსიები სევესტოპოლში, ოდესსაში, ალუპკაში, „მედივედგორაზე“, შეხვედრები მესაზღვრეებთან, სიმღერის საღამოები, ვიქტორინები, ლიტერატურული დილები...

წამოსვლა აღარ გვინდოდა. შინ რომ დავბრუნდი, პირველ ხანებში ისეთი მოწყენილი ვიყავი, რომ დედამ ჩემმა იფიქრა, ალბათ იქაური ჰავა არ მოუხდაო.

დათქმული გვაქვს, 1980 წელს ისევ შევიკრიბოთ არტეკში, მანამდე კი, საშუალო სკოლას რომ დავამთავრებთ, მოსკოვში შევიკრიბებით არტეკელი მეგობრები.

აი, რამდენი საინტერესო რამ მომცა ფილატელიამ.

ახლა ჩემი კოლექცია თითქმის სრულყოფილია.

**გენადი სუროვი**, ნორჩ ფილატელისტთა კლუბის თავმჯდომარე:

— მე ფილატელით გატაცება მამისგან, წყალთა მეურნეობის სამინისტროს მთავარი მექანიკოსისაგან „გადმომეღო“, და მის კვალს გავყევი. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შევედი მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე. ინსტიტუტში ფილატელისტთა ორგანიზაცია არაა, ამიტომ ისევ აქ დავდივარ.

ჩემი კოლექცია — 7 სტენდი, ახლახან დაბრუნდა მინსკიდან, სადაც გამოფენა მოეწყო. გამოფენის ეიურში საუკეთესო კოლექციისათვის სიგელით დამაჯილდოვა.

აქ, კლუბში, პრობაგანდას ვუწევთ საბჭოთა ფილატელიას. კლუბის წევრებს ვაძლევთ სპეციალურ მოწმობებს და აბონემენტებს, რომ-

ლითაც მას პირველ რიგში უნდა შევხებით. ვეხმარებით მოსწავლეებს გამოფენის მომზადებაში.

ფილატელისტები მართავენ მსოფლიო გამოფენებს, ყრილობებს. აქვთ მიწერ-მოწერა, აწარმოებენ მარკების გაცვლას. ეს ყოველივე უნდა იცოდეს ნორჩმა ფილატელისტებმა, და ჩვენი კლუბიც შეძლებისდაგვარად ეხმარება მათ ამ საქმეში.

კლუბში გატაცებით მუშაობენ გოჩა ბეთანიშვილი (61-ე სკოლა), სერგეი ლებედევი (86-ე სკოლა) დავით ქუჩუკაშვილი (51-ე სკოლა), იური გერენაშვილი (1-ლი სკოლა), თამაზ სულაძე (32-ე სკოლა). იური კოვანი (78-ე სკოლა), ვალია შახნაზაროვი (125-ე სკოლა) და ბევრი სხვა.

ამას წინათ მოეწყო გამოფენა. რომელიც სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა. მასზე ჩვენი კლუბის ბევრმა წევრმა წარმოადგინა თავისი ექსპოზიცია, რომლებშიაც საბჭოთა ქვეყნის ინდუსტრიის, სოფლის მეურნეობის, ლიტერატურისა და ხელოვნების, არქიტექტურის, სპორტის განვითარების საინტერესო ეტაპები აღსახა.

დამთავალიერებელთა თვალწინ გადამაღო ჩვენი ქვეყნის ისტორიის დაუფიქარი ფურცლები: რევოლუციის ლეგენდარული გმირები, ჩელუსკინელები, საბჭოთა კავშირის გმირები, გმირი ქალაქები, პიონე-

❁  
თბილისის ბ. ძე-  
ლამის სახელობის,  
პიონერთა და მო-  
სწავლეთა სასახ-  
ლის ნორჩ ფილა-  
ტელისტთა სსფო.  
❁







# კატეორიკოზი

რია, ბედნიერი ბავშვობა, კომკავშირის გმირული გზა, თეატრი, მუსიკა, ფლორა და ფაუნა.

ფილატელისტურმა მატთანემ ფერადოვან სერიებში აღბეჭდა საბჭოთა ადამიანების პირველი ნაბიჯები კოსმოსში.

ყოველივე ეს ხელმისაწვდომია ჩვენი კლუბის წევრებისათვის.

**დავით ბაუმბერგი,** მე-9 სკოლის მოსწავლე, 11 წლის:

— მე ჯერ უცხოური მარკებით ვიყავი გატაცებული. შემდეგ, როცა ზოგი რამ გავიგე ფილატელიაზე, მივხვდი, რომ უცხოური მარკების სრულყოფილ კოლექციას ვერ შეიქმნიდი და შეეუღლეი საბჭოთა მარკების შეგროვებას.

როცა პიონერთა სასახლეში დავიწყე სიარული და იოსებ ბორისის ძემ ბევრი რამ გვაასწავლა ფილატელიაზე, ჩემს ჯგუფში ჩამოვყალიბე ფილატელისტთა წრე. მასში ათი ბიჭია გაერთიანებული. ადრე გოგონებიც იყვნენ, მაგრამ მერე ნებისყოფა არ ეყუთ. თან იმ დღეს, რა დღესაც ჩვენ ვიკრიბებით, მომდერალთა გუნდის მცადლინობაა დანიშნული. რეგორც ეტყობა, ჩვენი გოგონები უფრო გაიტაცა ვოკალურმა ხელოვნებამ, და დაერჩით მარტო ბიჭები.

გადავწყვიტეთ სასკოლო გამოფენა მოგვეწყო.

ჩვენი კლასის ხელმძღვანელმა სვეტლანა როზანოვამ იოსებ მასწავლებელთან წერილი გამოგვატანა, გვიმუამდგომლა აბონემენტების შექმნაში. სამეურნეო ნაწილის გამგემ კი ჩარჩოები და მინები გამოგვიყვანა. არ ვიცით რა გამოვა. ისე კი სულ უფრო და უფრო მეტი მოსწავლე ებმება ჩვენს მუშაობაში.

დავითის ნათქვამს სტატისტიკური ცნობით შევავსებთ: 1967 წლისთვის ფილატელისტთა საკავშირო ორგანიზაციაში 4 850 მოსწავლე იყო გაერთიანებული, 1972 წლისთვის კი ეს ციფრი 64 370-მდე გაიზარდა. ყველა ქალაქში ნახავთ მოფუსფუსე ბიჭუნებსა და გოგონებს, რომლებიც სიამოვნებით ჩასტკერაინ სპეციალურ ალბომს — კლიასერს, აგროვებენ და სწავლობენ მარკებს, ეცნობიან ფილატელიას — საინტერესო სამყაროს.



ამ მოთხრობაში მონაწილეობის აპტირი არააღი ბაიბარია, ას ამ. თხრობაში მარკული წლის წინად ლაიბაბაჟა ურალინს ურთ. ერთ პატარა ბაბუთში. ბაიბარი ბაიბარის ბო. ნაბაში ამოცალუნს სამომალაქო რმის საბულისამო კაიზოლუმს.



ჩემი თანაშემწე ტრაჩი ისეთი სახით მომიახლოვდა, რომ უნებურად შევკრთი.

— რა ამბავია? — გეიმანოველებმა ხომ არ გადმოლახეს ტუბის უღელტეხილი?

— უფრო უარესი, — მომიგო მან და გაოფილი შუბლი ხელისგულით მოიწმინდა. — ჩვენ განვიარადლით.

— რას მიედ-მოედები? — გავიღიმე მე. — ვინ ვის ანიარადებს?

— საკუთარ თავს ვანიარადებთ. — ეს წუთია, უღელტეხილიდან დავბრუნდი. იმ წყუელ მახნოელთა ასეულს შაშხანები თითქმის აღარა აქვს.

მივედი და რას ვხედავ: ოთხი წითელარმიელი ქლიბებით გულმოდგინედ ხერხავენ შაშხანის ლულებს. ჯერ გავშეშედი, მერე კი შევეკითხე: რას აკეთებთ-მეთქი? ხმას არ იღებენ. მერე ვუყვირე: მაგ შაშხანებისაგან ბოსტანში ბელურების დასაფრთხობი სატკაცუნები გინდათ გააკეთოთ? ერთ-ერთმა მათგანმა შუბლშეკვრით მომიგო: სატკაცუნა რა მოსატანია? კარაბინი გამოვა, მსუბუქიც იქნება და თანაც ისეთი მჭექარე, რომ ღამით გეიმანოველებს თუ დავუშენთ, მთები ისე დაიქუხებენ, ეგონებთ, ზარბაზნიდან ისვრიანო. წარმოვიდგინოთ, კარაბინო... ამის პასუხად ვეუბნები: „იმის ფიქრი, რომ ლულაწაჭრილი შაშხანისაგან კავალერისტის კარაბინი გამოვა, ისეთივე სისულელეა, როგორც ის, რომ კაცმა იფიქროს, თუ შენისთანა ყუყუქს თავს წააჭრის, კავალერისტი გამოხვალ“. — ტრაჩმა გადააფურთხა და გულმოსულმა განაგრძო: — არც კი ვიცი, ამას რა დავარქვა... ეს ჯერ კიდევ არაა მთლად დალატი, რადგან უღელტეხილს თავგანწირვით იცავენ, მაგრამ, ამასთანავე, ეს ნამდვილი დალატია, — გასასროლად გამზადებულ იარაღში მუჭით ქვიშის ჩაყრა...

— მართალი ხართ, — მივუგე, — დალატი კი არა, წარმოდგენილი უფიცობა... მეოთხე ასეული ახალი გამოგზავნილია, მასში თითქმის ერთთავად ყოფილი მახნოელები არიან... წავიდეთ მათთან.

ტრაჩი გზა-გზა აღშფოთებით მეუბნებოდა:

— ადრე ეს მაცოფებდა და ხმის ჩახლეჩამდე ვუმტკიცებდი, რომ შაშხანისთვის ხიშტის მოხსნა სიგიჟეა, რადგან შაშხანა ზუსტი, შემოწმებული იარაღია, თუ ხიშტს მოვხსნით, ყველა გაანგარიშება აირევა, აირევა ტყვიის გადახრა დერივაციის დროს... მაგრამ ყველაფერი ეს არაფერია იმასთან შედარებით, როცა ლულას სამ მეოთხედზე აჭრიან. ასეთი დამახინჯებული შაშხანიდან გასროლა და მიზანში მოხვედრის იმედის ქონა ისეთი უაზრობაა, როგორც იმის ცდა, რომ ცეცხლში ჩაგდებული ტყვია მიზანში მოარტყა. მაგრამ ცარიელ ლაპარაკს რა აზრი აქვს... აი, მათ ახლავე დავუმტკიცებ... მაშინ ჩაიგდებენ ენას. — და გესლიანად გაიცინა.

— რას აპირებთ? — შევეკითხე.  
— მივალთ და ნახავთ.

უღელტეხილს ვუახლოვდებოდი. ათასფუთიანი კლდეების უწყსრიგოდ ახორხილი ვეება ლოდები გვილობავდნენ გზას. აი, ერთი მოსახვევიც და, ჩვენს წინ საგუშაგოა. ასეული გაშლილ ფრონტად გავამწკრივეთ...





„თოფი ხელში!“ — ვუბრძანეთ და ასეულს ჩამოვუარეთ. ფოლადის ხიშტების თანაბარი ტყის ნაცვლად, ჩვენს წინ იყო კვანჭილა ჩამონაჭრების უსწორმასწორო მესერი. საიდანაც მხოლოდ აქა-იქ გამოშვერილიყო ჯერ წაუჭრელი თოფების ლულები, მაგრამ ისინიც უხიშტოთ.

თავი გავაქან-გამოვაქანე. ტრაჩი კი შებრუნდა. ჩანდა, ვერ იტანდა ამ უბადრუკ სანახაობას.

— „თოფი ფეხთან!“ — გავეცი განკარგულება და დავიწყე ლაპარაკი. გიუვარდეთ, კაი მაგარ-მაგარი სიტყვები ვუთხარი. დიდხანს ვლაპარაკობდი, ვარწმუნებდი, ვუმტკიცებდი შაშხანების დამახინჯების უაზრობას, ვიმოწმებდი სასრლო წესდებას.

დაბოლოს, მომეჩვენა, რომ ჩემმა სიტყვებმა გასჭრა, — ესე იგი ყოფილმა მახნოელებმა გაიგეს მათი აზრი.

მაგრამ მთლად ასე არ გამოდგა, რადგან, როცა ლაპარაკი დავამთავრე, ჯერ კრინტი არავინ დასძრა, შემდეგ კი უკანა რიგში ვილაცამ წაიბურტყუნა:

— ჩვენ რა, პირველად ხომ არ ვაკეთებთ ამას...

მას კიდევ რამდენიმე ხმა წამოეშველა.

— ამ წახერხილი თოფებით ალექსანდროვსკთან თეთრებს კუდით ქვა ვასროლინეთ!

— ვინ ამბობს, მიზანში არ ურტყამსო?! კარგად დაუმიზნეთ! — მოისმა ხმები.

ტრაჩი ერთბაშად შემობრუნდა, მივიდა ჩია ტანის ჩოფურა მახნოელთან, თავგამოდებით რომ ამტკიცებდა, „მართო კარგად დამიზნება უნდაო“, სახელოზე მოქაჩა და მწკრივის წინ გამოიყვანა... შემდეგ რალაც განკარგულება გასცა. ბუჩქებიდან გამოათრის ვიკერსის ტიპის ტყვიამფრქვევის ჩვეულებრივი დაზგა. ტრაჩმა აიღო წაჭრილი თოფი, მყარად დაამაგრა იგი დაზგაზე და ორმოცდაათ ნაბიჯზე მდგარი ხის გახეთქილ ტოტს დაუმიზნა.

— შეხედე, — უთხრა მახნოელს. იმან შეხედა, კმა-

ყოფილების ნიშნად თავი დაიქნია და განზე გადაგა. მივედი მეც, თოფი ზუსტად ტოტზე იყო დამიზნებული.

— რას აპირებთ?

— თვითონ დავდგები იქ.

— რა სისულელეა! — აღელვებით წამოვიყვირე. — მართალია, ეს წახერხილი თოფია, მაგრამ მაინც რა საჭიროა რისკი?

— არავითარი „რა საჭიროა“... და არავითარი „რისკი“, — ცივად მომიგო ტრაჩმა და დინჯად წავიდა ხისკენ. მებრძოლები მიდიოდნენ დაზგაზე დამაგრებულ თოფთან, თვალს ჭუტავდნენ, თავს იქნევდნენ და უკანვე მწუობრში დგებოდნენ.

ტრაჩმა ხელი დაიქნია. ჩოფურა მახნოელმა, ნაცვლად ჩანახის დასხლეტსა, შიშით შემომხედა.

ტრაჩმა მოუთმენლად დაიქნია ხელი...

მახნოელი ისევ შეეყუჟმანდა. გული გავიმაგრე და თავი დავუქნიე — ისროლე-მეთქი. მწუობრმა ერთბაშად დაიგმინა... ერთდროულად იგრაილა თოფმაც.

ტრაჩი ერთი-ორი წამი იქვე იდგა, მერე მშვიდად, საგანგებოდ მშვიდად წამოვიდა ჩვენკენ...

— აბა, რას იტყვით? — იკითხა მოახლოებულმა.

მებრძოლები დუმდნენ.

— რას იტყვით-მეთქი? — გაიმეორა.

მაშინ კი ერთბაშად აბუბუნდა ირგვლივ ყველაფერი და ვილაცამ ხმამაღლა, მაგრამ დარცხვენით დაიძახა:

— სათქმელი რომ აღარაფერი გვაქვს!





ეშმაკმა უწყის საიდან გაჩნდა ჩვენთან ეს რიბაშკინი. ლაშქრობისას შემოგვჩხირეს ოცეულში. სამადსამი დღე იყო ჩვენთან ეს უცნაური, უცხო კაცი. ვერა და ვერ გავარკვეით მისი სოციალური წარმოშობა. ყველასაგან განზე იდგა. მიხვალ, ასანთსა სთხოვ, მოგცემს და დუმს. რაიმეს გამოკითხვას დაუწყებ, — მოკლედ მოგიჭრის და ამით თითქოს გეუბნება: ცხვირს ნუ ჰყოფ ჩემს პირად ცხოვრებაშიო. ოჰ, ეშმაკმა კი წაგიღოს! აბა, ფრონტზე რა პირად ცხოვრებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ყველანი ერთ დღეში ვართ? ოცეულში ხმა დაირხა, ეს რიბაშკინი მობილიზებული მოქალაქეა, ადრე მონაგარიშედ თუ რაღაც ადმინისტრაციულ თანამდებობაზე უმუშავებია სავაჭრო კომპანიაში „შპუნდიკერი და შვილები“.

მაგრამ ამის დაზუსტების შესაძლებლობა არ გვქონდა. ესეც რომ არა, ვისი რა საქმე იყო.

იმ სამი დღის შემდეგ კი ტიფისაგან გარდაცვლილი იგოშკინის ადგილზე მოკალათდა შტაბის სამნეო ნაწილში. — ფორმის ტანსაცმლის ორდერებს იძლეოდა. შეხვალ შტაბში, ხედავ: ზის და რაღაცას წერს. რა აქვს ამდენი საწერი, ეშმაკმა უწყის, რადგან იმხანად ცოიგჭაუშში ახალი ტანსაცმლის ხსენებაც არ იყო და ყველას ძველები გვეცვა. საოცარი კაცი იყო. ერთხელ დიასახლისთან მივიდა და ჭიქა მარილი გულის ჯვარში გაუცვალა. მგონი, ამ გაცვლას რელიგიური კი არა, უფრო სხვა მიზანი ჰქონდა.

კაზაკები გვიტევდნენ. ის, უთუოდ, ფიქრობდა: თუ საჭირო იქნება, თავს გავიმართლებო: აქაოდა, მობილიზებული ვარ, უპარტიო, აი, შეხედეთ, ჯვარიც მკილია, ასე რომ, მე არაფერ შუაში ვარო.

სწორედ იმ დღეებში დავიჭერი ფეხში, კრილობა არცთუ მძიმე იყო. ამის გამო მეაღალეებთან დავრჩი.

ასეთი საქმე დაგვემართა. სამნეო რაზმი სოფელ ოკოლედოვოში იდგა. ნასადილევის ოთხი საათი იქნებოდა, ოკოლედოვოს მოულოდნელად ტყვიამფრქვევის ცეცხლი რომ დაატყდა, მერე კაზაკების ლაშქარი მოაწყდა ნიაღვარივით. საიდან გაჩნდნენ, კაცმა არ იცის, რადგან ის ადგილი ზურგი იყო. ასე იყო თუ ისე, მოქრიან ხმლების ქნევითა და ველური ყიჟინით. გონს მოსვლაც ვერ მოვასწარი. რომ კაზაკები სოფელში შემოიჭრნენ.

მათრახებით მიგვრეკეს ბოსელთან და ჩავვამწყრივეს. გვერდზე მოვიხედე და რას ვხედავ: აგერ დგას ამხანაგი შესტაკოვი, ჩვენი პოლკის კომისარი! როგორ გაჩნდა აქ, ვერაფრით გამიგია.

კაზაკთა ოფიცერი გვეკითხება:  
— აბა, ვინ არის თქვენს შორის კომუნისტი და კომისარი?

ჩვენები დუმან. ოფიცერმა ისევ გაიმეორა შეკითხვა, ოღონდ უფრო გაბრაზებით.

— დაასახელეთ და დანარჩენებს გაგიშვებთ, თუ არა და, ყველას დაგხოცავთ.

ჩვენ ვფიქრობთ: თუ ასეა, ყველა დაგხოცონ, რას იზამ — ასეთი ყოფილა ჩვენი ბედი! ოფიცერს ერთხმად ვუპასუხებთ:

# გამცემა



# ტყუპი

— ბატონო ოფიცერო, არა გვყავს კომუნისტები, ჩვენ ხომ სამნეო რაზმი ვართ — მეაღალეები და სხვა წვრილფეხობა. აბა, საიდან იქნებიან ჩვენს შორის კომუნისტები?

ოფიცერმა თითქოს ირწმუნა ჩვენი ფიცი, მაგრამ სწორედ ამ დროს გადამწყვეტ მომენტში მარცხენა ფლანგიდან მოისმა ხმა:

— ნება მიბოძეთ, ბატონო ხორუნუო, სიტყვა ჩავურთო. რასაკვირველია, ჩვენი კომისრის — ამხანაგ შესტაკოვის გარდა, აქ კომუნისტები არ არიან.

შესტაკოვს რომ გადავხედო, დავინახე — გაფითრებული იდგა, თავი რიბაშეინისკენ მიაბრუნა და რაღაც წაიჩურჩულა... არავის გაუგონია, რა თქვა, მაგრამ ყველა მიხვდა. გამოიყვანეს მაშინ ამხანაგი შესტაკოვი, ჩვენ კი ყურადღებას არავინ გვაქცევდა. ცხვრებივით შევექუჩით, ვდგავართ და ვუყურებთ, რა მოხდება. უცნაური რამ კი მოხდა: როგორც კი ოფიცერი შესტაკოვს მიუბრუნდა, ჩვენთან მოვარდა მხედარი — ახალგაზრდა კაზაკი. ყალბზე შემდგარ ცხენს ძლივს იმაგრებდა. ვითომცდა ცხენის მიზეზით, რიბაშეინის გვერდით აღმოჩნდა და ერთი-ორი ისეთი გადაუჭირა მათრახი, რომ იგი სიმწრისაგან დაიკლაკნა, თანაც ხმადაბლა მიაძახა: „უშ, შე სინდისგარეცხილო ძუკნავ!“ და უმაღლვე, ვიდრე ოფიცერი შემობრუნდებოდა, გაგვიცოდა.

მაშინ მივხვდი, რომ ყველგან გვყავს ამხანაგები, რომ კაზაკებს შორისაც კი მოგვეძებნება მეგობარი. მერე, ამხანაგი შესტაკოვი რომ დახვრიტეს, რიბაშეინმა სცადა ჩვენი გულის მოგება:

— იოლად გადავჩიოთ, თორემ ხომ ყველანი დავილუპებოდით.

რახან დავრწმუნდით, რომ თეთრებში თანამგრძობი გვყავდა, ყვირილი ავტებეთ. ისევ ის კაზაკი მოვიდა და გვკითხა:

— რა გავიკრებთ? ვუპასუხეთ:

— აი, ეს კაცი გვაქვებს, გავიქეთო, — რიბაშეინე ვუთითებთ.

— აბა, გაქცევას ამზადებ? — წამოიყვირა კაზაკმა და ხმალი იძრო. რიბაშეინი ღრიალებს: — სტყუიანო. ვანმისტრს კი თითქოს არ ესმის და ხმადაბლა ეუბნება:

— ისინი სტყუიან, შენ კი, სადაც საჭირო არ არის, იქ ერჩები შენი სიმართლით.

და ერთი მოქნევით გააცხებინა სული პროვოკატორს. ეს ამბავი მოხდა ქალაქ იგოვის მახლობლად — ადრე კურსკის გუბერნიად იწოდებოდა, ახლა კი არ ვიცი.

იმ კაზაკს, რიბაშეინი რომ აკუწა, პოლონეთის ფრონტზე შევხვდი, ოც წელში. ვიცანი და როგორც რევოლუციონერ ამხანაგს, ხელი მაგრად ჩამოვართვი. გავიხსენეთ ის შემთხვევა, შემდეგ ერთმანეთს დავემშვიდობეთ... და მან ჭენებით გასწია ბრძოლის ველისკენ, იმ მხარეს, სადაც რევოლუციის საქმისთვის პოლონელებთან სისხლისმღვრელი ბრძოლა გვექონდა.

ატალახებული თიხიდან რის ვაი-ვაგლახით ვაძრობდით ჩქმებს. რული გვერეოდა. ძილი უფრო მეტად მოგვეძალა მას შემდეგ, რაც საველი ტელეფონმა მონოტონურად დარქა და პოლკის ადიუტანტმა ფედირიშჩენკომ ნამძინარევი ხმით თქვა:

— გამთენიისას, როგორც ჩანს, სევ ლაშქრობა გველის.

საგუშაგოები უნდა შეგვემოწმებინა. კაცმა რომ თქვას, შეიძლება არც შეგვემოწმებინა: ასეულის შემდეგი, ლებედევი, ის-ის იყო დაბრუნდა შემოვლიდან, მაგრამ საბრძოლო სიტუაციაში მეთაურს ყოველთვის გაუელვებს ფიქრი: „შენ კი შეამოწმე, მაგრამ პასუხი ხომ მე უნდა ვაგო, ჩემი უბანია“.

ეგვიც რომ არა, — გავიფიქრე, — უთუოდ მესამე ასეულის მეთაური ლატვიელი ლაუბერსიცი ვერ მოისვენებს, ვიდრე ყველა საგუშაგო ამ სიბნელეში ორმოცდაათი ნაბიჯის სიშორიდან არ შენიშნავს და არ შეაჩერებს შეძახილით:

— სდექ! ვინ მოდის? გაჩერდი, თორემ გესვრი! არავინ იცის, როდის სძინავს ამ ლაუბერსს. — ჩემი მეოთხე და მისი მესამე ასეული თითქოს ყოველთვის ეჩიბრებიან ერთმანეთს.

თავდაპირველად ვცადე გზის შერჩევა, მაგრამ, როცა რამდენჯერმე ატალახებული თიხის ორმოში ჩავვარდი, მივაფურთხე ყველაფერს და პირდაპირ ტალახში გავტოპე. სოფლის განაპირას შევჩერდი. აქედან საგუშაგოები სულ ახლოს იყო.

„მოდი ერთი, ვცდი და შეუმჩნევლად მივეპარები!“ ბუჩქებს ვეფარებოდი, ჩქმებს ფრთხილად ვაბიჭებდი ტალახში, რომ არ ეტყაპუნათ, და ასე მივიკვლევდი გზას. ირგვლივ სიწყნარეა. ნესტისაგან დამფრთხალი, ხუხულებში შემძვრალი ძაღლებიც კი არ ყეფდნენ.

სწორედ იმ დროს, როცა ის-ის იყო, თითქმის მივადექი საგუშაგოს, მომჩვენა, რომ ჩემს უკან რაღაც გატაკუნდა, თითქოს ტალახში ჩავარდნილი ტოტისთვის დაედგათ ფეხი. და კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

შემოვბრუნდი, მაგრამ ვერავინ დავინახე. „აღბათ ღორი იყო“, — გავიფიქრე და გზა განვაგრძე აღფრთხილებულმა იმით, რომ საგუშაგოდან ვერ შემაჩნიეს.

„ეგვიც შენი საგუშაგო, — გავიფიქრე. — მოდი და ნუ შეამოწმებ, ლაუბერსთან კი, აღბათ, ნახევარი კილომეტრიდანაც კი შეგნიშნავენ!“

ის-ის იყო წელში გავიმართე, რათა შეუნიღბავად მივსულიყავი ჩემგან ათიოდე ნაბიჯით დაშორებულ საგუშაგოსთან, რომ სწორედ ამ დროს ვილაცამ მძლავრად, დათვივით ჩამბლუჭა და ძლიერი მოქნევით ტალახში მომადენინა ზღართანი.

„თეთრები! — გამიელვა თავში. — ეტყობა, საგუშაგო მოხსნეს... აი, თურმე რატომ არ შემეხმინენ“.

— არის! — დაიძახა ხმამ. — აქეთ, ბიჭებო, აქეთ! რამდენიმე კაცი ტალახის ჭყაპუნით გამოიქცა ჩემკენ და შემომხვია.

— ჯაშუში დავიჭირეთ! — იყვირა ვილაცამ სიამაყით აღსავსე, გამომწვევი, თანაც წარმოუდგენლად ნაცნობი ხმით.

— ნამდვილი თეთრგვარდიელია. ფანდიც რომ იმათი აქვს ამ ოხერს, ძაღლივით არ მეცა ხელებში!



# ორი ქვეშა

— სიმაკოვ! — ვიყვირე გაცეცხისაგან გახევებულ-  
მა. — სიმაკოვ, შენ საიდან? ეს ხომ მე ვარ!  
ერთი პირობა დაიბნენ, შეცბუნდნენ.  
ვიღაცამ ასანთს ზედ ჩემს ცხვირთან გაჭკრა და გა-  
ისმა დარცხვენილი ხმები:  
— ეს ხომ ჩვენი ასეულის მეთაურია!  
— რასაკვირველია, მე ვარ... თქვენ რა, ხომ არ გა-  
დაირიეთ?  
— შენც რას გვეპარებოდი! — მშვიდად მომიგო  
სიმაკოვმა და ხელი შემაშველა — წამოდექიო.  
— მე თუ გეპარებოდი, შენც აგელო და დაგეძახა:  
„შესდექ, ვინ მოდისო?“  
სიმაკოვმა თვალეები ეშმაკურად მოჭუტა და მომიგო:  
— დილას გავიგონე, ლაუბერსს რომ ეუბნებოდი,  
კარგი იქნებოდა, მოენე რომ ჩაგვეგდო ხელშიო, მეც  
ვიფიქრე, აგერ მოხონავს და, მაშასადამე, შემთხვევა  
ხელიდან არ უნდა გავუშვა, თორემ ეგებ იმათმა ასე-  
ულმა გვაჯობოს და ჩვენზე აღრე გაქაჩოს ვინმე-მეთქი.  
და თუ შენ... (და განაწყენებული ხმით განაგრძო)... და  
თუ შენ უბრალოდ შესამოწმებლად მოგვეპარე, მაშინ  
იცოდე, არაფერი შემოწმება არ გვჭირდება. ჩვენ თვი-  
თონაც კარგად ვიცით ჩვენი საქმე.

არბ. ბ.



— აჰა, წაიკითხე, — მითხრა ლენკამ და ახალი დე-  
პეშების დასტა მომაწოდა, — ოღონდ, წყნარად იყავი.  
მიძღები რატომღაც ცუდად მუშაობს.  
კუთხეში მიჯექი. თვალი გადავავლე დეპეშების  
მზრალ, შეკუმშულ სტრიქონებს და მოკლე, მაგრამ სა-  
ინტერესო ცნობას წავაწყდი.  
წავიკითხე, მერე ხელმეორედ გადავიკითხე და ჩავ-  
ფიქრდი.  
დიდხანს ვიჯექი ჩუმად, თითქმის არ მესმოდა, ლენ-  
კა როგორ უიმედოდ ილანძლებოდა და უტრიალებდა  
გაჭირვებულულ რადიომიმღებს. რადგან ფიქრი უკან,  
შორეულ, ცეცხლოვან წარსულში მიქროდა, და იქი-  
დან, წარსულიდან, საამოდ წკრიალებდნენ ტელეგრა-  
ფის მავთულები. უკრაინის ამბოხებული ველებიდან,  
განუწყვეტელი ხანძრების შფოთიანი დაფიონიდან მო-  
ცურავდა ეს კი არა, სხვა, მოკლე დეპეშა:  
„ყველას... ყველას, ყველას...  
მეექვსე საბჭოთა დივიზიის ყოფილმა მეთაურმა —  
იგივე „ტავრისა და ხერსონის მხარის პარტიზანების ატა-  
მანმა“ — გრიგორიევმა მოღალატურად გაილაშქრა  
უკრაინის სსრ წითელი ნაწილების წინააღმდეგ, რის გა-  
მომც უნდაცხულია გამცემად, გამოცხადებულია კანონ-  
გარეშედ და დაუყოვნებლივ უნდა მოისპოს. ვოროში-  
ლოვი.“  
ჰაი დედასა! აბა, რა გითხრათ, როგორ შემიძლია გად-  
მოგცეთ, რითი ცხოვრობდა და სუნთქავდა მაშინ ბო-  
ბოქრებული უკრაინის ველები?!  
ღრიალებდნენ ეშელონები და ზედ აყრილი ლიან-  
დაგების პირზე ჩერდებოდნენ.  
— ვინ აჰყარა?  
— ბატკო სოკოლოვსკიმ.  
ღია ფანჯრებთან მომდგარი წითელარმიელები შემ-  
ფოთებით უქერდნენ ხელს შაშხანებს, გასცქეროდნენ  
აალებული ჰორიზონტების ათინათებს და კითხულობ-  
დნენ:  
— რამ გააჩინა ხანძარი?  
— ბატკო შეკერამ.  
გრუხუნებდნენ, ნაბერწყლებს ჰყრიდნენ და ფერ-  
დობებზე იჩეხებოდნენ ეშელონები. დამეულ სიბნელეში  
ფეთქდებოდნენ და ფეთქდებოდნენ თვითნაკეთი ჯავშ-  
ნოსანი მატარებლები.  
ცეცხლი ბობოქრობდა მარჯვნივ, ცეცხლი ბობოქ-  
რობდა მარცხნივ.  
— აბა, ძმებო, დავცხოთ ატამანებს... დაჰყა სტრუკას,  
ანგელს, ცეცხლი ტიუტიუნისკ, ეშმაკს, მამაძალს —  
ბატარეა, ცეცხლი!  
და როცა ტყვია-წამალი აღარ არის, რკინიგზის ლიან-  
დაგი აყრილია, ორთქლმავლის ქვაბი მწყობრიდან გა-  
მოსულა, მაშინ ყველა ერთად ხმალაღმართული ეძე-  
რება მტერს.  
— ურრა! ბიჭებო!





არას დაგიდევინ მუცელში მოხვედრილ ტყვიას.  
ხმლით გაჩენილ თავს.

რაშია საქმე?

რატომ არ უნდა დაისვენო ამდენი უძილო, გახურებული რკინის სუნით გაუღენთილი, ღამეების შემდეგ, რატომ არ უნდა მიდო თავი ყვავილობა დასრულებული, სურნელოვანი ალუბლების ძირში, რომელსაც ფურცელი ნელ-ნელა ცვივა, დასტკბე მოხატულ სარკმელთან მომდგარი უკრაინელი ქალიშვილის აღერსიანი ღიმილით.

— ...არამზადვ, ნაძირალავ! — საყვედურით შესცქერის მას რულმორეული თვალებით, მთლად გასავათებული მეზღვაური. — სულ ახლახან არ იყო, გაიდა-მაცს რომ უღიმოდი, მერე პეტლუროველს, მერე არშეებით დამშვენებულ მოხალისეს-თეთრგვარდიელს. წუხელ კი ბატკა ორლიკი გეწვია, თავისი ხროვით. ახლა მე რატომღა მიღიმი?

ეს ალექსანდრიის მახლობლად მოხდა ღამის პირველ საათზე.

შტაბის ვაგონში შემოვიდა სადგურის კომენდანტი. უფროსი გაიხმო და, ვითომცდა ძალზე შემფოთებულმა უთხრა:

გვიღალატეს არამზადებმა, როგორ მოვიქცეთ? დიშაუკმა, იმის ნაცვლად, რომ გორლოვაზე გაელაშქრა, კომუნისტები გარეკა და ქალაქი დაიკავა. სადგურზე კაცი აღარ არის. ყველა გაიქცა. მელა დავრჩი... მართოდმარტო.

— კი მაგრამ, მე რა შემიძლია? — მიუგო რაშმის მეთაურმა. — წუთი-წუთზე ველოდები წასვლის ბრძანებას.

— აქვეა სულ ახლოს, ოთხი-ხუთი კილომეტრი თუ იქნება, — აღრიალდა კომენდანტი. — თქვენ რამდენიმე საათში გაუსწორდებით იმათ. როგორ არ გეცმით, როგორც კი წახვალთ, ისინი მაშინათვე აყრიან გზას.

...მეთაური წამოდგა.



სინქნარე. შიშისა და ხიზნისაგან დამორღვენილი დაბის ვიწრო ქუჩებში კაცის უკუნა აჩაბა. — ეს რა კანდალი! — დახიზრულნი შეივარაბა. — სად გადვიქარებ, მახეს ხომ არაღერს გვიგებზე?

— მატარა ახე არ თუ...  
 — ამხანაგო ბოძ! — თითქმის ზურაფული თქვა მე-  
 თაურმა. — აქ რაღაც სხვა ამხანაგა დალტობა ეგებ?  
 — რაო, თქვენ ფიქრობთ, რომ კონვინდენტია გვი-  
 ვე... — შეგერთალა კომხანთა საოქმედის დღესამე-  
 რებლად სწრაფად მოახარეს თავი, და შეთურის სახე-  
 ლომე შეგარდა მოკანს...


შეხვედნი ეს რა აჩიოს!  
 შორს, უღელავ ტყეზე ჩამოწოდული სიხინღვადან  
 მოიხსა ორთქლვადლის საფარის გუფინი, შერე შექი  
 აკაფადა და წაეგრელებს ფრკვეთით. სრული სულით  
 გამოიჭრა სინათლით ახდვარადღებული მახარებელი.  
 — საღვურისკენ! — დაიძახა შეთურმა. მას, იტყო-  
 ლა, უფი იპარა, რაზეთ იყო საქმე? — სწრაფად!  
 რაწმეა ძილის მოასწრო რამდენიმე ასურული ნახო-  
 ჯის გაჩინება, რომ საღვურის მხრიდან მოიხსა აღვირე-  
 პის ხმა.

— უფმარაა! — თყვირა ვილადი. — იხინი მტა-  
 რების აღვირებებს ცდნობენ.  
 აქოშინებულნი, ქვეზე, ვისიანსა თხრილხეზე ბორ-  
 ძითი ისწრაფოდა რაში იტრშინიხანელი შეტარებლის  
 გადახარჩინებ, შიშხანების ტყვიების ეღვარებობა და  
 ტყვიანფრკვევებს დახტების ფიქრფიქვითი გარადღ-  
 ნებული რომ მაქარდა მყდურნი დაიხი შეგარავ სინქ-  
 ნარეში შემოხოლი იღვრებოდა ეღვრისსკენ.  
 იღვრავ შემოშინ, მას შეხედვს, რაც იყო მხრიდან აღ-  
 ვისი მოქმედული ფრკვევით ხადად იქან დაიხი და იხე-  
 ვე მოღვრებულად გაჩრა, როგორც ვიხინდა, ჩვენს  
 შეთურთან და კომხანთან ვილა შეღვარება შივიდა.  
 — თქვენ ვაიქონი ვიხივი?  
 — ვიწვ ვიხის ეს შეზაფხვლიან? — მკითხა მტამმა,  
 რითხულვ ჩერ კიდეც სხელ კარხანში ვაწვანს ხდებდა.  
 — როგორ თუ ვიხინ? — ვაყვებინა შეთურ შეღვა-  
 ურბა. — ეს ხომ სარდლის შეტარებელია.

— რაზე ჩაფიქრებულხარ? — მკითხა ლტენა და  
 ჩაბნობილად გაანაროი. — ეს რა დღეშია ვიგარავს?  
 — შენ ფუფი იგი ხომ შიშხანია!  
 დღეშიაში ნაქვამი იყოს  
 „ხარ კაცობის ცენზარული აღხარებულბოლო  
 შხტების პრეზიდენთა დააფინი, საშეხდრო და სპე-  
 ლია საოქმედის სახალო კომხანად დაინაშენს ვიო-  
 რი ზეგაე კომინტარ ფიქრის ძე“.  
 — რაო? — მკითხა ლტენა და დღეშია დაიხარბა.  
 — შენსხევიცა ფრკვევით ხომ არ შეზღვდარხისათ რი-  
 მანეთ?

— რაბინაა არა, — დღეშია მიუვტეა. — ახეთი რა-  
 შევ მომხმარა, ჩემო ლტენა!

...ეს უმარჩინა შიშის დახილი სახეზე ხნული და-  
 შევირა. შეჩედილი, ცესტოლოფანი წარსვლის საოქმედ  
 სტარაობი...



მალაბრის  
 აბინის  
 სახლ  
 — შუამფორ  
 შუამფორ  
 ორთხალი  
 სარს  
 ვიწოდ  
 ვაწოდო.

# სვან ჰიუგონი ნავაგალი ბიფობიფაფა

საქართველოს ძველადქალი ქალაქი,  
 ქუთაისი ქვეშარი შიგავეფის წყარო  
 ხანდა მისი საუკუნის პიბობიტი გენი-  
 სი — გილატობის ამბობიდაოსი. სწო-  
 რედ აქ დაიწყო გილატობი, აქ ქმნი-  
 და იგი უკავრავ შეფიქრებს, აქვე  
 მოაქვდა პირველი წიგნი...  
 სადაც უნდა ყოფილიყო გილატობი-  
 რი — პარხონი თუ მოსკოვი, ლტენ-  
 რედაში თუ თბილისი, ყველაფეს ამ-  
 სოვდა მისი ბაგვარის ქალაქი. მეფე  
 ივანე და უმბრევილი, ხალხების და-  
 კახანობი, ოფიარშია და მაკოფე-  
 ნი არ შიშდებდა მის თვალსწრებს  
 და მესხურებს. მას იხილდა თეთრი

1917

ანი, ასევე გილატობის სახელთან გა-  
 დაწერილია შუამთა, ქვეში — სოფელი,  
 სადაც დაიბადა და აღიზარდა ქართუ-  
 ლი პოეტის ამირანი, შესანიშნავად  
 ამბობს პობიტი:  
 მიწმე იქ ცნობის, ცველა შუა ვამბა,  
 სხვა შიშითა შირის, შექვის შუამთა,  
 მრავალთა წამთა სჯურდათ,  
 სწამდათ  
 ძელი შუამთა, კარგი შუამთა...  
 შუამთა სოფელს უკვამა და მთასაც,  
 რომლის ძირში სოფელი ვიქვითა. მო-  
 გრმა ასე გარეყვდა აქური ლანდ-  
 მადეტი:  
 ნაეშვიბიდანვე ის სისიორ ტანჯავდა  
 კროთი,  
 ლაგარდგინი მიტყებდა  
 ნაქრანები;  
 და ვიითხიბლი, ვიფიბობილი,  
 ვიღერდი თუ ვიქრდი —  
 მდვიდენ, მიგანდენ, მიზიდადენენ  
 ის შექრაველი.

უკანური გასცლავ პიბობის დათვე-  
 მად განდაფიქვდა გილატობის წიგ-  
 ნის, გასილა, უკანსკელი წიგნის  
 ძალიან შეფიქრი იყო. მას სიციელის  
 წინ დგოვი შიუთობია და ჭიკა აქ სი-  
 ცვეტიბი გამოვილია: „ეს გარემარის  
 პამბრა ამდამას, რომელიც პამბრის  
 რამტრე თვის შიუდენ დასადაბა“. გილა-  
 ტობი წერს: „ამაშინი ვაგდაცვლა  
 ლოკრე მალაჯირბა, ხე არ მასთოს  
 იქ ურული შიუთის ვამო, რომ დღე-  
 მადე მამპირის გარდაცვალებულან  
 ის შიუდენ“.

გილატობი რეა უკვლავ სოფელში  
 იხდებდა. აქვდას ქუთაისში წიყიფა-  
 ვის, ვირო ამფიბინსა მოსამდადეტელ  
 სკოლაში, შიუდენ კი სასოფლო სს-  
 სანობლი. სწავლა დაწვეული  
 გილატობიანი ქუთაისში  
 მიწვეული ვარ,  
 თუ მისის ქუთაისში  
 გოთინი — ვინა ხარო,  
 უკვსეტი, რომ სურნება ხარ,  
 იგი კი ურბა ვიის,  
 ივის იტრინოს ქუთაისი,  
 ჩემი ქუთაის!

ამბობის, მათ ეს სტრიტონები გა-  
 ლატობის წიგნებში შიგარონის  
 (ქვეში ქუთაისში, ლტენის საფარე-  
 ვისი ქუთაისში) და მისი შიშხანის  
 ობიექტებს, რომ პიბობს თა-  
 დავიქვამად უკვარს ქუთაისში, მისი  
 სტრიტობი აფივილი, ქუთაისი და შე-  
 სახეები.  
 გილატობის სადებიტორ ლტენ  
 იყო „პიბობი მათის“, რომელიც მან  
 წიყიხთა მოწვევად, რამ პიბობს თა-  
 ვრხეზე ქუთაისში, ხარტის ძარის  
 ნაგებობა შირის. აქ დაიწყო მისი  
 პირველი პიბობგანა, აქ გამოიქველა  
 პირველური პაობობი. მეგი რეკეცე-

1917 წლის გალატობი უსწრები-  
 და ქუთაისში გამოირულ, დიდ ლიტერ-  
 ატორული საღობის, მიწვილების სულ-  
 მხილი აყვისივლი. აქ მან ლტენი შე-  
 იყობა და დღედა აკავს ქვეს დაინა-  
 ხურა. მამინ გალატობი 22 წლისა  
 იყო.

1914 წელს ქუთაისში გამოიჭა გა-  
 ლატობის პირველი წიგნი, რომელიც  
 ტიტულ ვგარამან დასტამა. ყდაზე გა-  
 მისაბული ავტობიგორული ქართული  
 ქალი — შუის სიბოლი, რომელსაც  
 ხელში ქარი უჭირავს. წიგნი შესულ-  
 მა ლირაულად შეფიქრება („ეს და  
 ლაშა“, „შუისდადეტელ“, განახალა გუ-  
 ნი“, „ავტობის მოძიება“ და სხვა) საყი-  
 ველითა აღიარება და პიბობობის  
 მოკოვის გილატობის, ერთხანად და-  
 სწვივიტებს უბიფიქრის პიბობის სახე-  
 ლი. შემდგომ იგი წერდა:  
 მისარული ვიყავ და მისარული  
 ვიქვინი,  
 როცა მესმის, რომ გამოსული ჩემი  
 ძელი წიგნები...  
 გილატობის პირველი გასცვლად  
 თამარხიბობად გასცვლად („თანა-  
 მხედრედ ახარ“, „ახალი კვლი“),  
 გურნალებში („განიდავი“, „ფიქრი  
 და ციგნება“) და აღმასამი  
 ცესტობი ვაწვიწი. რომელიც ქუთა-  
 ისი ობიექტებს, აქვე გამოქვედა  
 მისი ლტენი. „მოწვიბინდა მფიქრი“,  
 „ლურჯა ციგნები“.





გიორგი  
ჯინჯოლია

მხატვარი  
დ. ზარაფიშვილი.

მოთხრობა

— რას შვრები, მიხო?

გოგონა ტიტას ოდნავ გაშლილ წითელ კოკორს ათამაშებდა ხელში.

— ვხერხავ.

— როგორ, ქლიბით ხერხავ?!

მიხომ თავი ასწია. ჯერ უსაიდად ცა შეათვალიერა, შემდეგ, თითქოს სხვათა შორის, თამილასაც აღიჩინა ყურადღება.

— თუ კი იცი, რომ ქლიბია, რას მეკითხები?!

— განა ყველაფერს უცოდინარობით კითხულობენ! ისე გკითხე.

გოგონას დიდრონი, შავი თვალები ჰქონდა. მოკლედ შეკრეჭილი თმა კობტად გადაეკარცხნა.

მიხომ ცოტა ხანს უცქირა თამილას, შემდეგ ისევ აახრატუნა ქლიბი ფართო თოხის პირზე.

გოგონა დაიხარა, ტიტას კოკორი ცხვირზე გაუსვამა მოუხსვა ბიჭს.

— სად იყავი მთელი დღე?!

— აფთიაქში წავედი, წამლები მოვეუტანე მამას.

მიხო დინჯად და ნაღვლიანად ლაპარაკობდა.

— ისევ წვეს? — თანაგრძნობით ჰკითხა გოგონამ და აგრძნობინა: მაპატიე, ცუდ დროს მიხუმრიაო.

— ჰო, სიცხე აქვს... თანაც წუხს — ცოტა ყანა დამრჩა გაუთოხნავიო.

— მე მოგეხმარები! — წამოიძახა თამილამ.

— მართლა ეგრი ცოტა კი არ დარჩა!

— მერე რა!

ერთხანს დუმილი ჩამოვარდა.

მიხო თოხის ტარს მუხლით დაეყრდნო, მაგრამ თოხი მაინც ვერ გააჩერა — ქლიბთან ერთად ხან მარჯვნივ გადაუქანდებოდა, ხან მარცხნივ.

თამილა გვერდით ჩაცუცქდა თოხის ტარს ჩაეჭიდა.

ხრაქ-ხრიქ... ხრაქ-ხრიქ... — ხრაქუნებდა მისი სამკუთხა ქლიბი.

მიხო ღრმად სუნთქავდა, თამილასაც დაეღალა თითები.

— გეყო, ბიჭო! ვერ ხედავ, სამართებელივითაა! თოხი მართლაც კარგად ალესილი ჩანდა.

— მამას უყვარს მძიმე და კარგად ალესილი თოხი.

— დამაცადე, მეც მამაჩემის თოხს წამოვიღებ. თამილამ ყვავილი პერანგის ღილის კილოში ჩაუმარა მიხოს და მოკურცხლა.

— შენ, თუ გინდა, ისე წამოიღი... მიყურე. — სიტყვა დაადევნა ბიჭმა.

თამილა უკვე შორს იყო. მიხომ ქლიბი ოდის გამოწეულ ქილიკზე ჩამოდო და მზეს ახედა — ხომ არ დამიგვიანდაო.

„საღამომდე დალლას ბევრჯერ მოვასწრებ“, — ხელი უფუნებოდ ჩაიჭინა.

თამილა მალე დაბრუნდა, ყუთით მოახოხიალებდა გრძელტარიან თოხს.

— გაჯობებ, იცოდე!

— ისლა მაკლია, გოგოებმა მაჯობონ!..

მიხო აღარ ხუმრობდა.

თამილა სიცილით გაუძღვა... ისევ თოკგამობმულივით მიათრევდა თოხს ხასხასა მდელოზე.

წაადრევ ყანაში ტანი აეყარა სიმინდს. მწკრივები მდინარისაკენ მიემართებოდნენ, თანდათან ვიწროვდებოდნენ...

მდინარიდან ნიაგი ჰქროდა, მწკრივებს მოჰყვებოდა, თითქოს გზადაგზა სიმინდის თითოეულ ღეროს თვლისო — მიყოლებით არხევედა მათ და ფრთებივით აფარფატებდა მშვილდივით მორკალულ ფოთლებს.

მიხომ პერანგი გაიხადა და ღობეზე გადაჰკიდა. მკერდზე თითები მოიტყუაზუნა, ვითომ საცეკვაო მელოდიას ვეუკრავო დოღზე.

თამილა კი უკვე თოხს აქეთ-იქით დააძვრენდა მოწითალო თიხა-მიწაზე.

თხაა... თხაა... თხაა... — თხაპუნებდა თოხი.

— მომყევი, ჰე!..

— მაინც დაგეწევი.

მიხო ისევ თითებს იტყუაზუნებდა მკერდზე.

— ფერა!..

— უჰ, თოხს როგორ იქნევ!

— როგორ და, შენზე კარგად!

თამილა აჩქარდა.

— აგრე მალლა რად ისერი?!

— ჭიანჭველების ბუდეს ვარბევ!

— განა ასეთი რა დანაშაული ჩაიღინეს?!

გოგონა შეცბა. მართლაც, რას ვერჩოდი, რას მიშლიდნენო, — გაიფიქრა, მაგრამ თავის მართლებას დაიწყო.

— ყანა სუფთა უნდა იყოს!

— ამათი მოდგმა სხვას რას აკეთებს!

მიხომ თამილასთან მიიბრინა, ჩაიმუხლა, ჭიანჭველებს დააცქერდა.

— ესენი, ხვრელთან რომ გაჩერებულან, ალბათ, კარისკაცები არიან, ესენი კი, აქეთ-იქით რომ ირევიან, უთუოდ ლაშქარს ამზადებენ...



ჭიანჭველები დიდის ამბით დაფუსფუსებდნენ ყაენის-ფერი კენჭის გარშემო:

— ამათი მეომრობისა არაფერი მკერა, მუშაობენ კი, მგონი, ჩვენზე კარგად! ნახე, ნახე, თეთრშუბლა კუტკალია დასევიან! — თამილა თოხის ტარს დაეყრდნო.

— საწყალი! რა კანჭები ჰქონია თავის ღროზე!.. მკვდართან, ალბათ, სანიტრები მოსულან. — თქვა მიხომ.

— უპ, უპ! მეც დამესიენენ...

გოგონა გვერდზე გაბტა, შიშველი ფეხებიდან ჭიანჭველები ჩამოიბერტყა.

შემდეგ ისევ თოხნიდნენ. მიხოს თოხი ღრმად ჩაღიოდა მიწაში.

თამილა სიმინდის ფესვებს ხელით აცლიდა, ბალახს და გარშემო ფხვიერ მიწას აყრიდა.

ბოლოს მიხომ დიდი მანძილით გაუსწრო თამილას...

— დაიცა, ბიჭო! — დაუძახა თამილამ ღიმილით.

მიხო ახლა თამილას მწკრივს გამოჰყვია, მათი თოხები მალე ერთმანეთს შეხვდნენ.

საღღაც ახლოს გუგული ითვლიდა. ცოტა ხანს ყურბი მიუგდეს...

მერე კვლავ თოხნიდნენ. თოხები ბაყაყებოვით სულ წინ, წინ მიხტოდნენ.

თამილა მღეროდა... ჯერ ჩურჩულით დაიწყო. ნიავის შარიშურს ამსგავსებდა თავის ჰანგს, შემდეგ ხმას აუწია...

ტყეთა დარაჯმა — ვერტმფრენმა ჯერ ცაში წრი მოხაზა, შემდეგ კი გრუხუნით გაბრუნდა.

მიხომ ჯიბიდან ჯერ კიდეც მკვახე, მაგრამ მაინც ლოყაშეწითლებული ვაშლი ამოიღო და თამილას გაუწოდა.

— შენთვის ვინახავდი

— გაეჭრათ, გოგონამ თოხი დააგდო, ტაში შემოჰკრა.

— გამომართვი, მე არ მინდა.

— გამიხლიჩე!

მიხო ჩაჯდა. საჩვენებელი თითით ვაშლი მუხლზე დაიმგრა და მუშტი დაჰკრა... ერთჯერ ორჯერ...

ვაშლი შუაზე გაიპო.

ორივენი შეექცნენ.

— იფ, რა გემრიელია! — ტუჩებს ილოკავდა თამილა.

— ახლა არაუშავს რა, ორი-სამი კვირის შემდეგ კი მართლაც კარგი იქნებოდა.

მიხო გოგონას შესტყეროდა... ნანობდა: ნეტავი მეტი წამომელო ვაშლით.

გათოხნილ ყანაში ნიავე უფრო ლღად დათარეშობდა, სიმინდის ფოთლებიც უფრო თამამად შრიალებდნენ.

საღღაც შორს, ტყის თავზე, ისევ გუგუნებდა ვერტმფრენი, დამფრთხალ გუგულს კი ხმა გაეკმინდა.

მიხო და თამილა მზეს ეჯიბრებოდნენ: ბრიალა მნათობი თვალსაწიერისკენ მიცურავდა, მთოხნელები კი უკანააქნელ მწკრივა ერკინებოდნენ...

„კარგი გოგონა თამილა, ეგ რომ არა, სვალაც გაამიდებოდა: გაკვეთილები“. ფიქრობდა მიხო და მარჯვლ იქნევდა თოხს.





# დამიძახე

დამიძახე,  
ჩემო სოფელო, დამიძახე,  
დამიძახე,  
მოუსვლელობა დამიძახე.  
მამყოფინე,  
ცდა და ლოდინი მამყოფინე.  
მაფოფინე,  
შენს სანახებში მაფოფინე.  
მასკენვინე,  
შენი საძირკვლები მასკენვინე,  
მასხვლევინე,  
შენი ბალ-ვენახი მასხვლევინე.  
მაცელინე,  
შენი სათიბები მაცელინე.  
მარწვევინე,  
შენი აკვნები მარწვევინე.

მაცქერინე,  
შენი ღიმილისთვის მაცქერინე.  
მაწერინე,  
შენი სატკივარი მაწერინე.  
მათქმევინე,  
ძველი სიმღერები მათქმევინე.  
მათევინე,  
ზამთრის ღამეები მათევინე.  
დამახალე,  
გულზე სიყვარული დამახალე.  
გამახარე,  
შენი სიხარულით გამახარე.  
დამიძახე,  
მოუსვლელობა დამიძახე.  
დამიძახე,  
ჩემო სოფელო, დამიძახე!

# მზეო, ამოდი

მზეო ამოდი,  
ამობრალდი,  
ჩრდილთა და ფერთა  
რიალ-რიალით!  
მოგონებიდან, სასასოებოდ,  
ამოქათქათადით  
ყრმობის დღეებო.  
ის შთაგონება  
ამოიყოლეთ,

მე რომ მითობდა  
პირველ სტრიქონებს.  
ის სიხარული  
შემომამუშქეთ,  
იმ სიყვარულით  
დამასაჩუქრეთ.  
მთა-მთა მატარეთ,  
ხევ-ხევ მატარეთ,  
იმ სიზმრის ბაღში

გადამაპარეთ.  
ბალი ყუინით  
ამაკლებინეთ,  
ის ოცნებები  
დამაკრეფინეთ.  
მალე ამოდი,  
ამობრალდი,  
მზეო,  
წარსულის  
ფერთა რიალით!

მანამ სტრიქონს რა დამიჭკნობს,  
სანამ მხსნელად მეგულებით,  
ერის სიყვარულის ნიჭო,  
ნიჭო, ერის ერთგულების.  
რა დამილევს ფერად ხილვებს,  
სანამ ამ ცით თვალი თერება...  
სანამ სულში მილიღინებს  
მშობელ დედის მონატრება.

ბედი როგორ ამალღვევებს,  
უკმარობას გამყივარი!  
სანამ ამ გულს არ ასვენებს  
სხვისი გულის სატკივარი.  
სანამ ვარჩევ მრუდს და მართალს,  
მოყვასს ლუკმას ვუყოფ ძმურად,  
მანამ მართლა კაცი ვარ და  
მანამ მართლა ქუდი მხურავს.

# მუსიკა

ათრთოლებული უბედობით,  
ბედნიერებით,  
გადმოჩუნჩუნებს ნაკადულად  
თბილი ბგერები.  
მოჩქეფს მუსიკად სიხარული  
და მწუხარება.  
მოჩქეფს მუსიკა  
ზამთრის ყინვად,  
მზიან დარებად,  
მოედინება გამარჯვებად

და დამარცხებად...  
მოედინება ალტაცებად,  
თავზარდამცემად...  
არ შეუძლიათ  
ძლიერ ვნებებს  
სიკვდილი უხმოდ...  
თანაგრძნობისთვის  
გული გულს და  
სული სულს უხმობს.



გერმანიის მუშათა-პარტიის ერთ-ერთი დაამარსებელი და ბელადი აუგუსტ ბებელი 1840-1913 წლებში ცხოვრობდა.

კლარა-ცეტკინმა აუგუსტ ბებელის საფლავზე თქვა:

„შენი ცხოვრებისა და მოღვაწეობის უღადეს და უკვდავ ძეგლად იქცევა სოციალისტური საზოგადოება, განთავისუფლებული კაცობრიობის სავანე“. გამართლდა მისი სიტყვები, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაიმარჯვა სოციალიზმმა, რომლისთვისაც იბრძოდა აუგუსტ ბებელი.



საქსონიის სამეფო პოლიციის უფროსი ზიბდრატი ხემნიცი\* ლაჩრად როდი ითვლებოდა: იცოდა სროლა, ჯირითი, ფარიკაობა... მაგრამ როცა გაიგო ფაბრიკებში მუშები ღელავნო, ფერი დაკარგა, ხოლო აუგუსტ ბებელის სახელის გაგონებაზე გული წაუვიდა. სულ მალე კი სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდა.

მუშათა პარტია აკრძალული იყო. პოლიციის უფროსი ზიბდრატი ალლოთი გრჯნობდა, რომ ეს პარტია მაინც არსებობდა და იზრდებოდა. მისი ბელადი აუგუსტ ბებელი იყო.

ერთ დღეს ზიბდრატთან სასტუმროს პატრონი მივიდა:

— ბატონო პოლიციის უფროსო! ჩემს სასტუმროში ჩემოდნიანი საეჭვო სტუმარი გაჩერდა, ამბობს, დურგალი ვარო. მუშებს ხვდება, მისი სახელი და გვარია — აუგუსტ ბებელი.

— ბებელი! — წამოიყვირა ზიბდრატმა, — უსათუოდ ფთქებადი რამ ექნება ჩემოდანში!

გამოცდილ პოლიციელებს დაუძახა და უბრძანა:

— შეიპყარით! გაუჩხრიკეთ ჩემოდანი!

აუგუსტ ბებელი ჩემოდნით ქუჩებში დასეირნობდა. ჩემოდანი მძიმე იყო. მზე აცხუნებდა. ბებელი ერთ-ერთი სახლის სადარბაზოში შევიდა, პიჯაკი და ჭილუტი გაიხადა. ჭილუტი ჩემოდანში ჩადო, პიჯაკი მელავზე გადაიკიდა და უკან გამოვიდა. პოლიციელი ფეხდაფეხ გაჰყვა.

აუგუსტ ბებელმა კუთხეში გადაუს-

\* ხემნიცი — დღევანდელი კარლ-მარქს-შტადტი.



# ასევე უკვე ნივთიერებით სას ხე პოქაზა



პანს გეორგ მინიჩი

ვია, პოლიციელმაც გადაუხვია. შეჩერდა, პოლიციელიც შეჩერდა და ხელი ხმლისკენ წაიღო. გულში ექაძნებოდა. ვერ წამიხვალ, არ გიშველის ტანსაცმლის გადაცმით. თან შიშობდა კიდევ, ძალზე სახიფათო კაცი ჩანს ეს ბებელი, ფუთქებადი ნივთიერება ჩემოდნით დააქვსო.

ქუჩის მეორე მხარეს აბრა გამოჩნდა: „კუნც ერბენის ავეჯის ფაბრიკა“. აუგუსტ ბებელმა ქუჩა რომ გადაკვეთა და ფაბრიკის ტიშკარს მიუახლოვდა, პოლიციელმა დაუძახა:

— შენ, ეი! შეჩერდი!  
აუგუსტ ბებელი შეჩერდა.  
— რა მოხდა? — იკითხა გაოცებით.  
— გახსენით ჩემოდანი! — ბრძანა პოლიციელმა.

ხალხმა თავი მოიყარა და პოლიციელს შეაჩერდა.  
„როგორ გაცდებინან, — ფიქრობდა გაამაყებული პოლიციელი, — ფუთქებად ნივთიერებას რომ დაინახავენ, — ერთხმად იტყვიან, რა გულადი ყოფილაო. ერთი ჩემს გულშიაც ჩამოიხედონ, როგორ მეშინია! მაგრამ არ შევიმჩნევ, — პოლიციის უფროსის ბრძანება უნდა შევასრულო“.

— გახსენით, — ხელმეორედ უბრძანა პოლიციელმა.  
— ქუჩაში? — დაეკითხა ბებელი. — თითოსაც ვერ დავაკარებ.  
— მაშინ დაგაპატიმრებთ და პოლიციის უფროსთან წაგიყვანთ.

აუგუსტ ბებელი გაბრაზდა: ამ მიძიმე ჩემოდნის ტარებამ წელი მოსწყვიტა და კიდევ პოლიციამდე ათრისო?  
— გამომყევით! — გამოვიდა მოთმინებიდან პოლიციელი.  
— კეთილი, გამოგყვებით. მხოლოდ

ჩემოდანი თქვენ წამოიღეთ...  
— მე წამოვიღო? — გაფითრდა პოლიციელი. გარშემო ჩურჩული ატყდა. პოლიციელმა თავისი ყურით გაიგონა, როგორ ეკითხებოდნენ ერთმანეთს — რამ შეაშინაო? ოფლმა შუბლი დაუცვარა, კანკალით ასწია ჩემოდანი.

ხალხმა ახლა კი ხმამაღლა დაუწყო დაცივნა.  
— ამ ტანმორჩილ კაცს მსუბუქად ეჭირა ჩემოდანი, გოლიათ. პოლიციელს კი რატომღაც ემძიმაო, — თქვა ვიღაცამ.

— მერედა, არ იცით ვინ არის ეს ტანმორჩილი კაცი? ეს ჩვენი ბებელია! გაყვით მას და, თუ საჭირო იქნება, დავეხმაროთ კიდევ, — წამოიძახა მეორემ.

არავინ იცოდა, გულში რა ცვეცლი უტრიალებდა პოლიციელს: — ადვილი სათქმელია, თუ ამ საეჭვო ჩემოდნის მსხვერპლი გავხდები, დიდად არ ინალელებს ჩემი უფროსიო!

პოლიციელმა დაინახა, რომ აუგუსტ ბებელი დამცინავი ღიმილით მიჰყვებოდა. „საინტერესოა, რაზე ეცინება ბებელს!?, — ჩემოდანი რომ აფეთქდეს, ხომ არც იმას დაადგება კარგი დღე!“ აფეთქების გახსენებაზე ოფლმა დაასხა. აი, პოლიციის შენობაც გამოჩნდა. ხალხი ქუჩაში დარჩა. პოლიციელმა უფროსის ოთახის კარზე დააკაკუნა და გამოეჭიმა:

— აუგუსტ ბებელი შეპყრობილია, ჩემოდანი — კონფისკებული, — თქვა ეს და ჩემოდანი მაგიდაზე დადო. პოლიციის უფროსმა შიშისაგან პირი დაალო, დაფეთებული წამოხტა და კედელს აეკრა. მკვდრის ფერი ედო.

— არა! — დაიყვირა პოლიციის უფ-

როსმა, — არა! არა!  
ბებელმა ჩემოდანი გახსნა, ფილტვი ამოიღო და თქვა:  
— ინებეთ, ჩაიხედეთ. ოღონდ მალე, მერქარება.

ჯერ პოლიციელი, შემდეგ პოლიციის უფროსი ფრთხილად მიუახლოვდნენ ჩემოდანს. ცნობისმოყვარეობამ სძლიათ. ნეტავ რა არის ჩემოდანში? ნუთუ მართლა ყუმბარაა, ბანკებისა და პოლიციის შენობის ასაფეთქებლად განკუთვნილი?

არაფერი ამის მსგავსი! ჩემოდანში მხოლოდ ოსტატურად შესრულებული ხის ნაკეთობანი ეწყობ: კარებისა და ფანჯარების ხის სახელურები, პატარა ყუთები... ოთახი ახალგათლილი ხის სურნელებით აივსო.

— პროფესიით დურგალი ვარ. ლაიფციგში სადურგლო სახელოსნო მაქვს, — თქვა ღიმილით აუგუსტ ბებელმა. — აქ იმისთვის ჩამოვედი, რომ ავეჯის ფაბრიკას ჩემი საქონელი შევთავაზო, მაგიდებისა და სკამებისათვის თოქმა ფეხება ვაკეთებ.

— აჰა, გასაგებია, გასაგებია! — ჩაიბურღლუნა გაწითლებულმა პოლიციის უფროსმა.

აუგუსტ ბებელმა დახურა ჩემოდანი და ღიმილით კუნც ერბენის ფაბრიკის გზას დაადგა. ხალხი უკან გაჰყვა.

სულამოს ბებელი პარტიულ ამხანაგებთან წავიდა. პოლიციელი აღარ ადევნებია. ჩემოდანი არ ეჭირა ხელში. არც სჭირდებოდა, — რაც ამხანაგებისათვის უნდა ეთქვა, თავითა და გულით მიჰქონდა და გერც ერთ ჩემოდანში ვერ მოთავსდებოდა.

გერმანულიდან თარგმნა  
მეფაა კოლუაზა.





გამოუქვეყნებელი საარქივო დოკუმენტების მიხედვით

### ვლადიმერ სანოვი

1909 წლის სექტემბერში პოლიციის დეპარტამენტიდან გაიგზავნა დეპეშა:

პოლიციის დეპარტამენტი — თბილისი

„21 სექტემბერს გერმანიის სელი-სუფლებმა ლეჟინსკის გადასაგზავნი პუნქტის მეშვეობით გადმოგვცეს თქვენთვის ცნობილი ტერ-პეტროსიანცი წერტილი კალიშის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსს დეპეშა გაეგზავნა თბილისში თქვენს განკარგულებაში პეტროსიანცის მკაცრი დაცვის ქვეშ გამოგზავნის თაობაზე წერტილი დაიჭირეთ თადარიგი პეტროსიანცის მისაღებად შესრულება გვიდებუშეთ“.

12 ოქტომბერს პეტროსიანცი თბილისში ჩაიყვანეს და მეტეხის ციხის ერთადგილიან საკანში მოათავსეს. კარზე ორი ბოქლომი დაადეს.

პეტროსიანცი სამხედრო სასამართლოს უნდა გაესამართლებინა, რაც ნაღდ სიკვდილს ნიშნავდა. ისეთ დანაშაულთათვის გამოტანილი სასჯელი, როგორც ტერ-პეტროსიანცს

პბრალდებოდა, მუდამ ერთი და იგივე სიტყვებით მთავრდებოდა: „მიესაჯოს სიკვდილი ჩამოხრჩობით“.

მაგრამ ამჯერად იყო ერთგვარი მიზეზი, რაც განაჩენის გამოტანას აფერხებდა.

სასამართლოს პირველსავე სხდომაზე ტერ-პეტროსიანცი ისეთი სახით გამოცხადდა, რომ დარბაზში მყოფთათვის უცილობლად ნათელი გახდა: მათ წინაშე გონებაარეული ადამიანი იდგა.

ცხადია, სასამართლო პროცესი შეაჩერეს და გადაწყვიტეს პეტროსიანცი გამოსაცდელად ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოეთავსებინათ.

- რა გქვიათ?
- სიმონ ტერ-პეტრესოვი.
- მამათქვენის სახელი?
- სიმონ ტერ-პეტრესოვი.
- რამდენი წლისა ხართ?
- ოცდაათისა.
- სად დაიბადეთ?
- არ ვიცი, ვიყავი ყველგან და საზღვარგარეთ.

- რას აკეთებდით საზღვარგარეთ, რა საქმიანობას ეწეოდით?
- ავტომობილების ფაბრიკა მქონდა.
- სად დაიბადეთ?
- არ ვიცი, მე ყველგან ვიყავი.
- რას გაბრალდებენ?
- რამდენიმე პარტიის დამმარსებელი ვარ.

პეტროსიანცს იმას კი არ სდებდნენ ბრალად, რომ იგი რაღაც მითური პარტიების დამმარსებელი იყო, არამედ — რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრობას, პროკლამაციების გავრცელებას, ბერლინში ბომბებისათვის ელექტროფალების ყიდვას. მაგრამ მთავარი ბრალდება მაინც ის იყო, რომ იგი 1907 წლის ივლისში, „დაუღებელ ბოროტგანმზრახველებთან“ ერთად თბილისში, ერევნის მოედანზე, თავს დაესხა საფოსტო ტრანსპორტს, რომელსაც ფუტო მიჰქონდა. (პარტიის საჭიროებისათვის მაშინ 250 000 მანეთი შემოვიდა).

— რომელი პარტიების?



- რუსეთში რომ არის, იმათი.
- მაგალითად, რომლის?
- ახლა ვერ ვიხსენებ, მერე გეტყვი.
- თავგები ხომ არ გაწუხებენ?
- ქვეებს მესვრიან. უამრავი მტერი მყავს, ყველა ჩემი მტერია...
- თავგები ხომ არ გაწუხებენ?
- მელა დაღის ქერზე, ყნოსავს, სულ ყნოსავს პეტკას, სულ კაწრავს.

ექიმები დაინტერესდნენ — პეტკა ვილა არისო. პეტროსიანცმა უბიდან ჩიტბატონა ამოიყვანა.

- სად იშოვეთ პეტკა?
- ზედამხედველმა მომიყვანა.
- ციხეში რის გამო ზიხართ?
- ურიცხვი მტერი მყავს, ქვეებს მესვრიან.
- რას იზამთ, ციხიდან რომ გამოგიშვებენ?
- ავტომობილით წავალ.

ფსიქიატრებმა გადაწყვიტეს:

„... მისი გონებრივი მდგომარეობის უფრო ზუსტი გამოკვლევის მიზნით, გაგრძელდეს დაკვირვება თბილისის მიხაილოვის საავადმყოფოს ფსიქიატრიულ განყოფილებაში“.

ბორკილადებული პეტროსიანცი მიხაილოვის საავადმყოფოში მიიყვანეს და შმაგი ავადმყოფებისათვის განკუთვნილი განყოფილების განსაკუთრებულ იზოლატორში მოათავსეს.

პეტროსიანცის გარდა აქ კიდევ ექვსი ავადმყოფი იყო. განყოფილებაში დღისით და ღამით ორი ზედამხედველი მორიგეობდა. მათ ოთხი მოსამსახურე ეხმარებოდა.

ფეხზე — ბორკილი, კარებზე — პოქლომები თბილისის პოლიციამ საკმარისად არ მიიჩნია. ფსიქიატრიულ განყოფილებაში პოლიციელები გამოცხადდნენ. მათ გულდასმით შემოწმეს ფანჯრის რკინის ბადეები და „დაცვის განსაკუთრებული ზომები“ მიიღეს — ეზოში დღის გუშაგობა დააწესეს, მტკვრის პირას კი — ღამისა.

ოთხი თვის მანძილზე ექიმები გულმოდგინედ აკვირდებოდნენ პეტროსიანცს.

ოთხი თვის მანძილზე პეტროსიანცი მღეროდა, უსტვენდა, ცეკვავდა, ან პირიქით, მოღუშული იყო, დღე-ღამეში მხოლოდ ორი-სამი საათი ეძინა, ან სულაც არ იძინებდა, უხილავ თანამოსახლებებს ელაპარაკე-

ბოდა, ამბობდა — თბილისის განაპირას ოთხი მილიონი მაქვს მიწაში ჩაფლულიო. წუხდა თითქოს თავის მიერ შეიარაღებული ჯარის დამარცხების გამო, აპირებდა საზღვარგარეთ წასვლას საკუთარი საავტომობილო ქარხნის სანახავად და ა. შ.

...მეოთხე თვის დასვლეს თბილისელმა იატაკქვეშელებმა, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრებმა ციხიდან რალაც სასწაულით გამოღწეული წერილი მიიღეს:

„...ხსნა გაქცევაშია. არ მსურს ციხეში მოვკვდე, ეცადეთ მომიწყით გაქცევა. მინდა კიდევ ვიმუშაო პროლეტარიატისათვის“.

როგორ მიადგინა წერილმა კომიტეტის წევრებამდე? ვინ წაიღო იგი ესოდენ მკაცრად დაცული განყოფილებიდან?

აი, ნაწყვეტი საავადმყოფოს მოსამსახურის ივანე ბრაგინის ჩვენებიდან:


„ერთხელ, როცა განყოფილებაში ჩემს მეტი არავინ იყო, ტერ-პეტრესოვმა მითხრა, დებთან წერილი წამიღეო. დავთანხმდი. მაგონი, ქართულად დაწერა წერილი. ფანჯარი და ქალაღი თვითონ ჰქონდა — ჭერ კიდევ აღრე მისცა ზედამხედველმა. წერილის გადმოცემისას მითხრა: ეგზარსკის მოედნის კუთხესთან მდებარე № 15 სახლში წაიღე და ჩემს დას — ჭავიარას გადაეცეო.“

მოვძებნე ის სახლი და 12 საათზე ალაცუფიდან დავრეკე. კარი ჩვიდმეტოდე წლის ქალიშვილმა გააღო. მკითხა, რა გნებავთო. ვუთხარი, საავადმყოფოდან ვარ და ჭავიარა მჭირდება-მეთქი. ქალიშვილმა მეორე სართულზე ამიყვანა, ერთ-ერთ ოთახში შემიძღვა და მთხოვა — დაცადეთო. მაღე მეორე ქალიშვილი მოვიდა, პირველზე უფროსი: გამხდარი, შავტუხა, სათვალისანი. იგი ჭავიარა იყო. გადავეცი ძმის წერილი. რალაც დაწერა და ის ბარათი ტერ-პეტრესოვს წავუღე“.


ივანე ბრაგინი, სუსტი ჯანის, უნებისყოფო, მაგრამ შინაგანად პატიოსანი კაცი, თავისი სამუშაოთი გაწამებული იყო. პატიმარმა გადაწყვიტა, შემდგომაც დასდობოდა მას.

„მაღე ტერ-პეტრესოვი გამომიტყდა, მინდა გვიქცე და საზღვარგარეთ დავიშალოო. შემომთავაზა — ერთად წავიდეთ საზღვარგარეთო. დამბირდა, იქ სასწავლებელში მოგაწყობ და კაცად გაქცევო.“

ექიმებთან და ზედამხედველებთან იგი სულ სხვაგვარად იქცეოდა: ღმერთმა უწ-



სურათი: კაბინარ ტერ-პეტროსიანცის ფოტოსურათი; ჯვრით აღნიშნულია ის სარკმელი, საიდანაც მოხდა გაქცევა; აი, ეს რკინის ბადე გადახარხა პატიმარმა; კოლიციის მიერ შედგენილი „სამის“ ფურცლები.







უის, რას ბოდავდა... ისე კი, ჩვეულებრივი ჯანსაღი ადამიანივით მსჯელობდა. საზღვარგარეთ რომ იყო, ამაზე ყველასთან ლაპარაკობდა. მოსამსახურეებს და ზედამხედველებს ხშირად ეთამაშებოდა ბანქოს. თამაშობდა ჭკვიანურად, სხვა ავადმყოფებივით კი არა, ჭერ რომ მშვიდად დასხდებიან სათამაშოდ, ხოლო მერე ბანქოს ქაღალდს ნაკუწებად აქცევენ.

მასთან ერთად გაქცევაზე რომ ღაფუბული, ტერ-პეტრესოვმა მიიხრა. ქალაქში კიდევ რომ გახვალ, ჩემს დებთან — ჭავიარასა და არუსიაკთან მიდი და რამდენიმე საუბრისთვის ხერხუნა წამომიღე ფანჯრის ბადის გასაჭერად. თანაც დახმინა, \* ხერხუნები ინგლისური უნდა იყოსო. მე კი ამ ხერხებზე წარმოდგენაც არა მქონდა.

...ტერ-პეტრესოვი ჩემი მორიგეობის დროს ხერხავდა. ზოგჯერ კი, როგორც თვითონ მეუბნებოდა, სხვათა მორიგეობისასაც. რათა არავის შეემჩნია, გახერხილ ადგილებს პურის გულით გლვხდა. მან ფეხბორკილებიც გადახერხა. ქვედა რგოლი მავთულით დაამაგრა. მავთული ლიმონათის ბოთლს მოხსნა. გადახერხილი ბორკილებით დახლოებით ერთი კვირა დადიოდა“.

იკანე ბრაგინის ნაამბობში გაქცევისათვის მზადება იოლ საქმედ მოჩანს. სინამდვილეში კი იგი უზარმაზარ რისკთან იყო დაკავშირებული.

ბრაგინმა პეტროსიანცს ოთხი შეკევა წვრილი ინგლისური ხერხი მიუტანა. გაქცევა შესაძლებელი იყო პირსაბანი ოთახის საკმლიდან, რომელიც მტკვარს გადაჰყურებდა. მსხვილი რკინის ბადე რომ გადაეხერხა, პეტროსიანცს პირსაბანის ბაკანზე შედგომა უწყევდა: თან წონასწორობა უნდა დაეცვა, თან ოთხიხუთი საათიც ეხერხნა. მარტო ბრაგინის მორიგეობის დროს შეეძლო თითქმის აშკარად მუშაობა. როცა სხვები მორიგეობდნენ, დრო და დრო ხერხავდა.

1910 წლის 14 აგვისტოს დილით პეტროსიანცმა ბრაგინს კიდევ ერთი ბარათი გაატანა დებთან და უთხრა — დღესვე წადი ქუთაისშიო. გაქცევა მეორე დღისთვის იყო დანიშნული.

მეორე დღეს მტკვარის მარჯვენა ნაპირას, ვერის ხიდან, ქერათმიანი, ახალგაზრდა კაცი გაჩერდა, თეთრი ცხვირსახოცი ამოიღო და დაიქნია. პეტროსიანცმა დაინახა ერთგული თანამებრძოლის კოტე ცინცაძის მიერ მიცემული ნიშანი, მაგრამ ცხვირსახოცის განმეორებით აფრიალებას დაუცადა. ამ დროს, თითქოს განგებო, მტკვარის პირას ვიღაც უცნობი გამოჩნდა ძალთან ერთად. მან

ძალდი ჭერ აბანავა, მერე კი დაგემწვას შეუდგა: გადაავდებდა წყალში ან ნაპირზე რაიმე საგანს — ძალდი კი მას უქანვე მიუბრუნებდა.

გავიდა ერთი საათი. უცნობი არა და არ მიდიოდა. კოტეს ეპვიც კი შეეპარა — ეს კაცი პოლიციის მოგზავნილი არ იყოსო. მაგრამ პოლიციას საიდან უნდა სცოდნოდა გაქცევის შესახებ? დაცდაა საჭირო.

მხოლოდ სამი საათის შემდეგ მიეცა კოტეს საშუალება, სამჯერ დაექნია ცხვირსახოცი.

პეტროსიანცმა დააკაუნა. კართან ზედამხედველი გრიგორიევი მივიდა.

— რა გინდა?

— საპირფარეოში გამიშვით.

— უდანკოვ, — გასძახა გრიგორიევი, — გამოუშვი პეტრესოვი, მიიყვანე კლოზეტთან. კარის დაკეტვა არ დაგავიწყდეს. მალე ჩაის ჩამოვატარებთ.

...პეტროსიანცმა რკინის ბადე გადალუნა, ზედა კადონს თოკი გამოაბა, ბორკილები მოიხსნა და ერთად შეკრა.

შემდეგ თოკი ჩაუშვა და სარკმლიდან გადაძვრა.

შუამდგ რომ ჩააღწია, თოკი გაუწყდა. პეტროსიანცი მიწაზე დაეცა, მაგრამ, საბედნიეროდ, უვნებლად გადარჩა.

იგი სწრაფად დაეშვა მტკვრისაკენ. შევიდა წყალში, გადაავლო ბორკილები, ფონით ეუნძულამდე მიაღწია და, ბოლოს, კოტეს დახმარებით, ნაპირზე ამოვიდა.

მაშინვე ეტლი დაიჭირეს. ეტლიდან ტრამვაიში გადასხდნენ, შემდეგ კი ფეხით განაგრძეს გზა. „სად დავიშალო?“ — ეს კითხვა მთელი სიმწვავეით წამოიჭრა პეტროსიანცის წინაშე. მან იდეალური გადაწყვეტილება მიიღო: თბილისის პოლიციის სამმართველოს საარდაფში შეეფარებიან თავი.

ქალაქიდან გასასვლელი ყველა გზა ჩაკეტილი იყო. თბილისიდან ვერავინ გავიდოდა, თუ წინასწარ გულმოდგინედ არ გაჩხრეკდნენ. „შეშლილი“ კი ამ დროს არხეინად იჭდა თვით იმ შენობის საარდაფში, საიდანაც გამოდიოდა ბრძანებები ჩხრეკისა და ყველა საეჭვო პიროვნების დაპატიმრების თაობაზე.

პეტროსიანცს როგორმე უნდა გა-

ელწია თბილისიდან. ქალაქის გუნაპირას, იქ, სადაც ქუჩა მტკვარის ტკეცილს უერთდებოდა, ყოველ დილით ველოსიპედისტთა ჯგუფი გამოდიოდა სასეირნოდ. ისინი გიმნაზიელები და მათი მეგობარი ქალიშვილები იყვნენ. ახალგაზრდები სიცილითა და ოსუნჯობით გამოიჭრებოდნენ გზატკეცილზე, სადაც მათ გზას უჭირდნენ გუშაგები:

— უქან! ამის იქით არ შეიძლება წასვლა!

ახალგაზრდები არ დავობდნენ, მორჩილად შემოტრიალდებოდნენ ხოლმე და ერთი ამბით ბრუნდებოდნენ ქალაქში.

ჯარისკაცები თანდათან შეეჩვივნენ მათ. ამიტომ, როცა რომელიმე ახალგაზრდა მაინც გადალახავდა აკრძალულ მიჯნას, გუშაგები მას მხოლოდ მამამვილურად ტუქსავდნენ.

ერთხელ გიმნაზიელებთან ერთად მასწავლებელიც გამოჩნდა. მხიარულად მოსაუბრე ხუთი ველოსიპედისტი გამოეყო ჯგუფს, გასცდა საგუშაგოს და გზატკეცილზე გავიდა. გუშაგებმა მხოლოდ ხელი ჩაიჭინეს: მალე მობრუნდებიანო. გიმნაზიელები მართლაც მალე მობრუნდნენ, ოღონდ მათ შორის მასწავლებელი აღარ იყო.

გუშაგებს რომ აზრად მოსვლოდათ მასწავლებლისთვის პარიკის მოხსნა, ფორმის ტანსაცმლის გახდა და ულვაშისთვის წინანდელი ფერის აღდგენა, ისინი, ალბათ, ადვილად იცნობდნენ იმ კაცს, რომლის სურათსაც მათ უჩვენებდნენ — ეს ბოროტმოქმედი უნდა დავაკავოთო.


ეს კაცი პეტროსიანცი იყო. მცხეთის სადგურში იგი ბათუმისკენ მიმავალ მატარებელში ჩაჯდა.

ბათუმში სტამბოლისკენ მიმავალ გემს დაუცადა და თურქეთის ქვეშევრდომის პასპორტით აღჭურვილმა, თურქულად ჩაცმულმა, „სამშობლოში“ გაცურა. რასაკვირველია, ამის მოგვარებაშიც ამხანაგები დაეხმარნენ.

...1910 წლის ოქტომბერში, პარიზში, ვლადიმერ ილიას ძის ოთახში ზარი აწკრიალდა. კარი ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა გააღო.

— ვალოდია! — გახარებულმა შესძახა მან. — კამოა!





# კუკუზი გოგიაშვილი

კუკური გოგიაშვილი აგერ უკვე ოცდაათ წელზე მეტია, რაც საუმაწვილო ლიტერატურაში მოღვაწეობს. ვინ მოთვლის რამდენი კარგი ლექსით, მოთხრობით, იგავით, ზღაპრით თუ პიესით გაუხარებია ნორჩები. კ. გოგიაშვილის პირველი საბავშვო წიგნი „თინიკოს მამალი“ 1940 წელს გამოვიდა. ახლა, დვაწლმოსილი მწერალი უკვე ოცდაოთხი წიგნის ავტორია. უმაწვილების დიდი სიყვარული დაიმსახურა: „ტყის სტუმარმა“, „დათუნამ და ბაჭიამ“, „თაგუნას გასეირნებამ, „აბლი-ბაბლიმ“, „წრუწუნების სახლმა“, „ვიტვიტამ და ბათურამ“ და სხვა. მონარდ მაყურებელთა თეატრში წლებების მანძილზე წარმატებით იღვმე-

ბოდა მისი პიესები: „ფარაფნელი ჭაბუკი“, „ბაღნარში“, „ვალთა სოკოლოვა“, „ალუბლები ჰევაიან“, „ირმის წყარო“, „ოქროს ყელსაკიდი“ და სხვა. კუკური გოგიაშვილის ლექსები თუ მოთხრობები მრავალჯერ დაბეჭდილა უურნალ „პიონერში“. ბავშვებს იტაცებს მისი კარგად მიგნებული ცხოვრებისეული დეტალები, გამართული, მსუბუქი ენა და მახვილგონიერი იუმორი.  
უურნალ „პიონერის“ მკითხველები და რედაქცია ულოცავენ კ. გოგიაშვილს დაბადების 60 წლისთავს და ხანგრძლივ, ნაყოფიერ შემოქმედებით ცხოვრებას უსურვებენ. ვბეჭდავთ ერთ ლექსს მისი ახალი წიგნიდან.

ვიმღეროთ დღეს და  
ვიმღეროთ ხვალაც:  
ატომი?  
არა!  
უუმბარა?  
არა!  
წყალბადი?  
არა!  
ომები კმარა!  
მშვიდობა ბავშვებს  
მარად და მარად.  
მოვდივართ შვილნი  
სხვადასხვა მხარის,  
ქართველი, რუსი,  
იმედი ზვალის,  
უკრაინელი,  
თუ მოლდაველი,  
ჩვენ არ მოვაკლებთ  
სამშობლოს ხალისს,  
მტერს დავუხვდებით  
ფოლადის ფარად.  
შევძახებთ ერთად  
მთასა და ბარად:  
ატომი?  
არა!  
უუმბარა?  
არა!  
წყალბადი?  
არა!  
ომები კმარა!  
მსოფლიოს ბავშვებს  
მშვიდობა მარად.

## პიონერული სიძველე

მოვდივართ ერთად,  
შეკრულნი ჯარად,  
ერთგულნი ქვეყნის,  
სამშობლოს ფარად,  
ვიმღერით ყველგან  
მთასა და ბარად:  
ატომი?  
არა!  
უუმბარა?

არა!  
წყალბადი?  
არა!  
ომები კმარა!  
მშვიდობა ბავშვებს  
მარად და მარად.  
მოვდივართ ერთად  
ჭაბუკნი ჯარად,  
გვეყო! მამებმა  
რაც სისხლი ღვარეს.





# მახილონის

## კომუნი

კაცობრიობამ თავისი ისტორიის მანძილზე მრავალი შესანიშნავი ნაგებობა შექმნა. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე ადრეულია ლეგენდარული ბაზილიონის კოშკი — ზიქურათ ეთემენანქი. იგი აიგო შუამდინარეთში — კაცობრიობის კულტურის უძველეს კერაში. ზიქურათი — შუმერული სიტყვაა და მწვერვალს ნიშნავს, ეთემენანქი კი სახლს, რომელიც ცისა და მიწის ქვაკუთხედს წარმოადგენს.

ეს კოშკი აიგო ბაზილიონელთა უზენაესი ღმერთის — მარდუკის სადიდებლად.

ბაზილიონის კოშკმა ჩვენამდე ვერ მოადღწია, მაგრამ მისი გარეგნული სახის წარმოდგენა მაინც შეგვიძლია ასურული წარწერებით, ანტიკური ხანის ავტორთა წერილობითი წყაროებით, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია პეროდოტეს აღწერილობანი, ბიბლიური ლეგენდებით და არქეოლოგიური გათხრებით.

ბიბლია ამ ძეგლის აგების თაობაზე ასეთ ლეგენდას მოგვითხრობს: ღმერთმა დაინახა, რომ ხალხი ისეთ შესანიშნავ კოშკს აშენებს, რომლის შექმნა მხოლოდ მას, — ღმერთს შეეძლო. ამის გამო ღმერთი განურისხდა მშენებლებს და მათი ენა არია. ენის არევის ის მოპყვა, რომ მშენებლებს ერთმანეთისა არაფერი ესმოდათ. დაიწყოვრეთ წოდებული „ბაზილიონის ორომტრიალი“, რამაც შეაჩერა კოშკის მშენებლობა.


ბაზილიონის კოშკის რეკონსტრუქციის საუკეთესო პროექტი ეკუთვნის გერმანელ არქეოლოგ კოლდვეის. მან ქალაქ ბაზილიონის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრები აწარმოა და კარგად გაეცნო ამ უძველესი ქალაქის ნაგებობებს. გათხრებისას მან ბაზილიონის კოშკის საფუძველი აღმოაჩინა.

ბაზილიონის კოშკს აგებდნენ მეფეთა მთელი თაობები. ქ. ბაზილიონის წარწერებიდან ცნობილია, რომ ეს კოშკი უკვე მეფე ჰამურაბის დროს (ძვ. წ. აღ.

XVIII ს.) არსებობდა. იგი არაერთხელ დანგრეულა, მაგრამ კვლავ აღადგენდნენ და ამშვენებდნენ.

ბაზილიონის კოშკი რვასაფეხურიან პირამიდას წარმოადგენდა. მისი ქვედა კუბის სიგრძე-სიგანე 91,5X91,5 ხოლო სიმაღლე — 90 მეტრი იყო. კოშკის ბირთვი ალიზისაგან იყო ნაგები. განსაკუთრებული ფერის მოჭიქული ფილებით მოპირკეთებული პირამიდის თითოეული საფეხური ეძღვნებოდა ბაზილიონის შვიდ სხვადასხვა ღვთაებას.

პირველი ქვედა იარუსი შავი ფერისა იყო, მეორე — წითელი, მესამე — თეთრი... ყველაზე ბოლო, — მეშვიდე — მოპირკეთებული იყო ფირუზისფერი ფილებით. მას ამშვენებდა ორი ოქროს რქა, რომლებიც ნაყოფიერების სიმბოლოს წარმოადგენდნენ. ისინი შორიდან



კარგად ჩანდნენ და ხიბლავდა მათ ველს.

კოშკის პირველ იარუსზე აღიოდნენ გარედან მიღებული სამი კიბით. მათგან ერთი კიბე ცენტრალური იყო, ორი გვერდითი. შემდეგ კიბე წრიულად მიკვებოდა კოშკის იარუსებს. ძველი ბერძენი ისტორიკოსი პეროდოტე (ძვ. წ. აღ. V ს.) მოგვითხრობს, რომ კოშკზე ამსვლელთა შუა გზაზე დასვენების საშუალება ჰქონდათ — კიბის თავზე სკამები იდგა.

კოშკს აგვირგვინებდა პატარა ტაძარი, რომელიც ღმერთ მარდუკისა და მისი მეუღლის — ცისკრის ქალღმერთ სარაპანიტის საცხოვრისი იყო. ამ ტაძარში ოქროს ტახტი, საგარძელი და მაგიდა იდგა. აქ შესვლა მხოლოდ ქურუმებს შეეძლო. კოშკის ირგვლივ მდებარე უზარმაზარი ტერიტორია წმინდა ადგილად ითვლებოდა და ესაგებოდა ეწოდებოდა. იგი შემოხლული იყო ორმაგი, დაკბილული თეთრი კედლით.


უბრალო მოკვდავი მარდუკს თავყვანს სცემდნენ ესაგებლას ზღუდის გარეთ მდებარე ტაძარში. აქ იდგა მარდუკის უზარმაზარი ოქროს ქანდაკება, რომელიც, პეროდოტეს გადმოცემით, 800 ტალანტ სუფთა ოქროს იწონოდა. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ერთი ტალანტი 50 კგ უდრის, ადვილი წარმოსადგენია, რა უღაპრულ სიმდიდრეს წარმოადგენდა ქანდაკება.

ბაზილიონში ყოველ წელს ხალხმრავალი რელიგიური დღესასწაულები იმართებოდა. რელიგიურ რიტუალებს თან ახლდა ე. წ. პროცესიები, რომლებიც განსაკუთრებული ბრწყინვალეობით ტარდებოდა. ისინი დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენდნენ მნახველზე. პროცესიები იყო სწორედ ის ერთ-ერთი საშუალებათაგანი, რომლითაც გაბატონებული კლასი იმონებდა მოსახლეობას.

მეფე და ქურუმები თავიანთ თავს დედამიწაზე ღმერთის წარმოგზავნილებად აცხადებდნენ, დამონებულ ხალხს კი უნდა შეეგნო, რომ იგი ღმერთების რჩეულთათვის მუშაობდა და, ამდენად, უწმინდეს რელიგიურ მოვალეობას იძდიდა.

წარმოვიდგინოთ, რაოდენ შესანიშნავი სანახაობა იყო დიდებული ზიქურათ ეთემენანქი რელიგიური დღესასწაულების დროს. ცამდე აზიდული კოშკი ნაირფერად ბრწყინავდა კაშკაშა მზეზე... ტერასებზე გაშენებული იყო ზურმუხტისფერი კიდული ბაღები, სადაც თავბრუდამხვევ სიმალღეზე კოცონივით ეღებრებდა ფირუზისფერი და ოქროსფერი





პირამიდის ხაზარხი

ტადარი. ოქრო-ვერცხლით შემკული, ძვირფასი ტანსაცმელში გამოწყობილი ქურუმთა გუნდი ქნარებისა და სალამურების თანხლებით საზეიმო გალობას ასრულებდა. პირამიდის კიბეებზე კი მეფის, ქურუმებისა და დიდებულების ბრწყინვალე პროცესია მიემართებოდა. ყველაფერი ეს წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა უბრალო ადამიანებზე. ისინი, პირამიდის ძირში თავმოყრილ-

ნი, შიშითა და კრძალვით შესტკეპროდნენ ამ დიდებულ სანახაობას. ბაბილონმა და მისმა ზიქურათმა მრავალი ქარ-ცეცხლი გადაიტანა. ყველაზე საშინელი აოხრება ბაბილონმა განიცადა ასურეთის მეფე სინახერიბის შემოსევის დროს, როცა ბაბილონის კოშკიც დაინგრა. მიწასთან გასწორებულ ბაბილონის აღდგენა დაიწყო სინახერიბის მემკვიდრემ ასარხადონმა. მის მეფობაშივე ეთემენანქი აღადგინა შესანიშნავმა ასურელმა ხუროთმოძღვარმა არადახეუმმა. ამ შესანიშნავ ნაგებობას ამშვენიერებდნენ აგრეთვე ბაბილონის უკანასკნელი მეფეებიც — ნაბუპალასარი, განსაკუთრებით კი — ნაბუქოდონოსორი. ამ უკანასკნელის ასურულ წარწერაში ნათქვამია: „...კოშკი... მე კვლავ აღვადგინე, ოქრო-ვერცხლით, სპილენძით, ძვირ-

ფასი ქვებით და ძვირფასი ხით მოვრეხე იგი...“  
კოშკის სწორედ ეს ბოლო ვარიანტი ნახა და აღწერა ჰეროდოტემ. სპარსეთის მეფე კიროსი პირველი დამპყრობელი იყო, რომელიც ამის შემდეგ მოვიდა ბაბილონში. მაგრამ მან არც ქალაქი დაანგრია და არც მისი ზიქურათი. იგი იმდენად აღფრთოვანდა ამ ნაგებობის სიმშვენიერით, რომ ითხოვა: როცა მოგვედები, ჩემს საფლავზე ბაბილონის მსგავსი ნაგებობა ააგეთო.  
ეთემენანქი საბოლოოდ სპარსეთის მეფე ქსერქსემ მოაოხრა... აი, ეს ნანგრევები ნახა ინდოეთში სალამქროდ მიმავალმა ალექსანდრე მაკედონელმა. იგი განაცვიფრა ნაგებობის მასშტაბებმა და ბრძანა მისი აღდგენა. მთელი ლაშქარი ორი თვე წმენდდა კოშკის ნანგრევებს. მაგრამ ალექსანდრე გარდაიცვალა და განუხორციელებელი დარჩა გრანდიოზული ჩანაფიქრი. ასე საბოლოოდ მოიხპო ეთემენანქი, რომელიც ერთ-ერთი იმ საუკეთესო ნაგებობათაგანი იყო, რომელიც კი ოდესმე შეუქმნია კაცობრიობას.

მარინე ბუღეიზვილი — მარლულია.

საინჯურსი **სოციალური** საინჯურსი



**კლოუქსი**

უძველეს დროს კარაქს მხოლოდ საცხად ხმარობდნენ (გერმანელები სწორედ ასეც უწოდებდნენ მას: „ძროხის საცხი“), საკვებად კი გადამდნარი სახით გამოიყენებოდა. ბერძენები და რომაელები მცენარეულ ზეთებიდან უპირატესობას ანიჭებდნენ ზეთისხილისას. ბერძენი სწავლული ექიმი დიოსკორიდი აღიღებდა თხისა და ცხვრის კარაქს, გალენი კი პირველ ადგილზე აყენებდა ძროხისას, მაგრამ ორივე შემთხვევაში ლაპარაკი იყო მათი საცხად და ლამპარის საწვავად გამოყენების ხარისხზე. ცხენის რძისაგან დამზადებული კარაქი საჭმელად პირველად სკვითებმა გამოიყენეს. საპნის საღებავებისა და ოლიფის დამზადებამ გამოიწვია იმ მცენარეთა სპექტრის გამრავალფეროვნება, რომელთაგანაც დაიწყო ზეთის მი-

ღება. ზეთოვანი მცენარეების სია შეიცვალა კაპით, მღოგვიტით... 1843 წელს მედავიტონე მიხაილო გრიზნოვმა შეიმუშავა გირჩებისაგან ზეთის მიღების ხერხი, რისთვისაც სახელმწიფოსაგან პრემიად 100 მანეთი მიიღო. კალორიულობით კარაქი პირველ ადგილზე და განსაკუთრებით ძვირფასია იმით, რომ მას მთლიანად ითვისებენ ორგანიზმი, მდიდარია ა. დ. ე ვიტამინებით.



ძმარის ხსენებას პირველად ძველ რომაელ ბუნებისმეტყველ პლინიუსთან ვხვდებით. იგი წერს, რომ

ძმარი გამოიყენება ხილის დასაკონსერვებლად, საჭმლისა და ღვინის დასამზადებლად, ბალზამირებისას. რომაელ ლეგიონერთა სასამელი ოკსიკრიტი, როგორც ჩანს, წყალში გახსნილი ძმარი იყო. კონცენტრირებული ძმარისმევა ფართოდ გამოიყენება ორგანული საღებავებისა და წამლების წარმოებაში. ძმარის შემადგენლობაში, ძმარისმევას გარდა, შედის მრავალი სხვა ნივთიერებაც, სწორედ მათი წყალობით არის ძმარი ესოდენ სურნელოვანი. ადამიანმა ყველაზე პირველად აღმოაჩინა ღვინის ძმარი, შემდეგ თაფლისა, უფრო გვიან კი — პურის, ხილის, საფუარისა. ძმარი მიიღეს აგრეთვე ზეთისხილიდან, მოცხარიდან, ვამლიდან, ნეკერჩხლიდან. XIX საუკუნეში გამოჩნდა ქარხლის, არყის, შაქრის ძმარი. ამჟამად ძმარი მიიღება ხის მშრალი გამოწურვით. მერქნის ძმარისაგან სუფრის ძმარის მისაღებად, მისი ვა-





მოწურვა ხდება რომელიმე სურნელოვან მცენარესთან ერთად. მაგალითად, ეთერის ზეთის რამდენიმე წვეთი აუმჯობესებს ძმრის გემოსა და სურნელებას.

დღე-ღამეში ადამიანის ორგანიზმში გამოიმუშავდება დაახლოებით ნახევარი კილოგრამი ძმრისმკვავა. მრავალრიცხოვანი გაცვლა-გამოცვლითი პროცესების შედეგად.



პურეულის მოწვევა მხოლოდ მობინადრე ხალხს შეუძლია, ამიტომ მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ პური მაღალი კულტურის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია.

პური ერთადერთი პროდუქტია, რომელიც შეიცავს ყველა ქიმიურ ელემენტს, რომლებიც აუცილებელია ადამიანის ორგანიზმისათვის. ესენია: ნატრიუმი, კალიუმი, ქლორი, რკინა, ფტორი და ა. შ.

პურის გამოსაცხობად, ჩვეულებრივ, გამოიყენება ხორბალი და ჭვავი, უფრო ნაკლებად: სიმინდი, შვრია, ბრინჯი, პარკოსნები. პურეულებს შეუძლია წონა, ხარისხი, ფასი რეგლამენტირებული იყო ბრძანებით, რომლის დამრღვევი ჯარიმით და გაროზგვით ისჯებოდა.

ხორბლისა და ჭვავის პური შეიცავს 12-13 პროცენტ ცილებს, 70 პროცენტ ნახშირწყლებს.



IV საუკუნეში ჩაი ჩინეთში აღმოაჩინეს როგორც სამკურნალო მცენარე. განვლო 200 წელმა და ჩინელებმა კვლავ „აღმოაჩინეს“, რომ მისგან შეიძლება დამზადდეს სასმელი. ათასი წლის შემდეგ ჩაიმ გაიტაცა ევროპელებიც.

უძველესი დროიდან ჩაით მკურნალობდნენ მრავალ სნეულებას — კბილის ტკივილს, თვალების დაავადებას, გაციებას, სიღამწერეს, გულსრევეს, სიყვითლეს, სურავანდს. იაპონელი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ჩაი შეიძლება გახდეს სხივური და კიბოთი დაავადების წამალიც.

წამლის სახით ჩაი ერთობ ნელა

ერცვლებოდა. 1820 წელს ევროპა-სა და ამერიკაში ჩაის ფერის დასაყენებლად დაიხარჯა 100 ათასი ფუთი ჩაი.

ჩაით, როგორც ძალის აღდგენისა და შიმშილის ჩამშობი საშუალებით, დიდხანია დაინტერესდნენ სამხედროები. მაგალითად, ინგლისის არმიაში ჩაის დღიური ნორმა 25 გრამია.

ევროპელთაგან თავიანთ ქვეყანაში ჩაი პირველად ჩაიტანეს (1517 წელს) პორტუგალიელებმა, 1610 წელს კი ჰოლანდიელებმა. პირველ ფინჯან ჩაის რუსებმა გემო გაუსინჯეს 1638 წელს, როდესაც მეფე მიხეილს მონღოლეთიდან საჩუქრად მოუვიდა 4 ფუთი ჩაი. ინგლისში ჩაის სმა დაიწყო 1664 წელს, მას შემდეგ, რაც ოსტ-ინდოეთის კომპანიის ვაჭრებმა კარლოს II მიართვეს ორი გირვანქა ჩაი. საქართველოში ჩაი გამოჩნდა 1770 წელს, როდესაც ეკატერინე II მეფე ერეკლეს საჩუქრად გამოუგზავნა სამოვარი და ჩაის სერვიზი.

პირველად ჩაის მოყვანის „საიდუმლოება“ მხოლოდ ჩინელებმა იცოდნენ. IX საუკუნისათვის იაპონელებიც დაეუფლნენ. 1824 წლიდან ჩაი ჰოლანდიელებსაც მოჰყავთ იავაზე. 1834 წელს ჩაის ბუჩქების გაშენება იწყება ინდოეთში, 1842 წლიდან კი — ცეილონზე. რუსეთში ჩაის წარმოების პიონერი კ. პოპოვი 1900 წელს პარიზში მოწყობილ მსოფლიოს გამოფენაზე ოქროს მედალს ღებულობს კავკასიური ჩაის მოყვანისათვის.

მოსახლეობის ერთ სულზე ჩაის წლიური მოთხოვნილების მიხედვით პირველობა ეკუთვნით ინგლისელებს — 4500 გრ. შემდეგი ადგილები უკავიათ კანადას — 1270 გრ, ჰოლანდიას — 770, ეგვიპტეს — 680, იაპონიას — 680, აშშ-ს — 430, სსრკ კავშირს — 311, ინდოეთს — 290, პაკისტანს — 160, ჩინეთს — 130 გრამი.

შავი ჩაი შეიცავს 12-16% ტანინს, მწვანე — 25%-მდე, კრისტალური კი — 40%-მდე. ჩაის სურნელებას აძლევს 0,006-0,021% ეთეროვანი ზეთი, რომელიც 32-მდე კომპონენტისაგან შედგება.

„ევროპელთაგან სიტყვა „შოკოლადი“ პირველად გაიგონეს ესპანელმა კონკისტადორებმა მათ მიერ გაძარცვული აცტეკების დედაქალაქში. ეს მოხდა 1519 წელს. აცტეკურად „შოკოლადი“ ნიშნავს ცხელ სასმელს, რომელსაც ამზადებდნენ კაკაოს დაფხვნილი პარკებისაგან, ცხარე წიწაკის დამატებით.

ევროპაში ესპანელებმა ჩამოიტანეს აცტეკების მეფის მონტესუმის საყვარელი საჭმლის — შოკოლადის დამზადების ისეთი რეცეპტი, რომლითაც კაკაოს ემატებოდა თაფლი, აგავის წვენი და ვანილი.

200 წლის განმავლობაში შოკოლადი იყო იშვიათი და ძვირადღირებული საჭმელი. ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში საფრანგეთში მას მიირთმევდა მხოლოდ დედოფალი.

შვედმა ნატურალისტმა კარლ ლინემ კაკაოს ხეს უწოდა „კაკაო ტეობრომა“ — ღმერთების საჭმელი.

შოკოლადსა და კაკაოს ყველა ცნობილ კვებით პროდუქტთა შორის პირველი ადგილი უკავია; კაკაოს პარკები შეიცავენ 15% ცილებსა და 10% ნახშირწყლებს. 10 გრამი კაბგი შოკოლადის კალორიულობა 600 უტრის.

კაკაოს პარკებშია ტონუსის მომცემი ნივთიერება თეობრომინი, რომელიც 130 წლის წინათ პირველად მიიღო რუსმა ქიმიკოსმა ა. ვოსკრესენსკიმ.

10 გრამი თეობრომინი სასიკვდილო დოზაა ადამიანისათვის, ხოლო 0,4%, რომელსაც შოკოლადი შეიცავს, ადამიანზე ახდენს კეთილნაყოფიერ, გამამხნეველ გავლენას.

სპეციფიკურ სუნს კაკაოს უჭმნის 40 სახის აქროლადი მინარევი.

კაკაოს ერთი ხე იძლევა 500 გრამიდან 2 კილოგრამამდე ნაყოფს.



# მშობარა

ლ. კანკელაძე

ეს ამბავი ყირიმში მოხდა. ერთი მოაგარაკე ბიჭი ზღვაზე სათევზაოდ წავიდა, ნაპირი ძალზე მაღალი და ციცაბო იყო. ბიჭმა ზღვაზე ჩასვლა დაიწყო, მაგრამ შუა გზაზე ძირს ჩაიხედა, უზარმაზარი წვეტიანი ქვეები რომ დაინახა, შეშინდა და შეჩერდა. ველარც ქვევით ჩავიდა და ველარც ზევით აცოცდა. ჩაეჭიდა ეკალ-ბარდებს სუნთქვა შეეკრული.

ამ დროს ზღვაზე კოლმეურნეობის მეზადური თევზს იჭერდა. ნავში პატარს ქალიშვილი ეჭდა. გოგონამ დაინახა ეს ბიჭი, მიხვდა რომ შეშინებული იყო. გოგონას გაეცინა და მამას ბიჭზე ანიშნა. ბიჭს შერცხვა, მაგრამ შიში შაინც ვერ დასძლია. ისეთი სახე მიიღო, თითქოს განგებ იჭდა აქ და ბუნების სილამაზით ტყებოდა.

უცებ ქარმა წამოუბერა. ბიჭს ანკესი ხელიდან გაეშვა და ძირს ჩაუვარდა. დაენანა ანკესი, ერთხელ კიდევ დააპირა ძირს ჩასვლა, მაგრამ ვერა, ვერ გაბედა. მეთევზემ ზევით აიხედა და შვილს რაღაც უთხრა. უცებ გოგო წყალში გადახტა და ნაპირისკენ გასცურა. ანკესი აიღო და ისევ ნაღისკენ გაემურა. ბიჭი ისევ გაბრაზდა, ისევ გაბრაზდა, რომ შიში გადაავიწყდა, სულ ხტუნვა-ხტუნვით და კისრისტეხით ჩამოვიდა ძირს და წყალში შეეცურა.


— ჰეი, სად მივაქვს, მომეცი აქ ჩემი ანკესი! — ხელი სტაცა გოგონას.

— აჰა, წაიღე, — უპასუხა გოგონამ, შენი ანკესი სულაც არ მჭირდება, განგებ ავიღე, რომ შენ ძირს ჩამოსულიყავი.

— კი მაგრამ, რა იცოდი, რომ ჩამოვიდოდი? — ჰკითხა გაოცებულმა ბიჭმა.

— მამამ მითხრა: რაკი მშობარაა, უსათუოდ ხარბიც იქნებაო.

თარგმნა ნ. გვახალიამ.







**ლიტერატურის ბრიგადორი**

**ბუტაფისის ბიჭი**

ცნობილი რუსი მწერლის დიმიტრი გრიგოროვიჩის საბავშვო მოთხრობამ „ბუტაფისის ბიჭი“ დიდი ხანია მკითხველთა მოწონება დაიმსახურა. იგი მრავალჯერ არის გამოცემული მსოფლიოს სხვადასხვა ენებზე.

ვინ მოთვლის რამდენი ბავშვის გული ააღელვა, რამდენს ადინათანაგრძნობის ცრემლი პატარა აკრობატის შემზარავმა ამბავმა. წიგნი გამოსცა გამომცემლობა „ნაკადული“.



**ანდრო ლეკიაშვილი**

**შენ ხარ ვენახი**

საქართველო ვაზისა და ღვინის კლასიკური ქვეყანაა, სადაც „ვენახის ჭეშმარიტი სამშობლო“ ეგულეობდათ, სადაც „ვაზ-უურძნის უთვალავი ჭიში გამოუყვანი-

ათ“, სადაც „ისეთ ჩინებულ ღვინოს სვამენ, როგორსაც არსად“, სადაც „ცოცხალია მევენახეობა-მეღვინეობის ისეთი არქაული წესები, როგორსაც ძველი ბერძნული და რომაული თხზულებები აგვიწერენ.“

საქართველოს მევენახეობის ათასწლოვან ტრადიციებზე მოგვითხრობს „ნაკადულის“ მიერ გამოშვებული წიგნი „შენ ხარ ვენახი“.

ამ წიგნთან ერთად თქვენ ეწვევით ქართლსა და კახეთს. იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმს, გურიასა და სამეგრელოს. დაივლით იქაურ ჯვარ-ვენახებს, მოუსმენთ მოხუც

**ბ. ლეკიაშვილი**



**შენ ხარ ვენახი**

**• წააღარი •**

მევენახეებს, გაეცნობით ვაზის მოვლა-მოშენების მამა-პაპურ წესებს. შეიხედავთ ქართლ-კახურ მარანში, ღია ცისქვეშ გამართულ იმერულ ჭურისთავზე შედგამთ ფეხს. იქ თავმოყრილ ათასგვარ ჭურჭელსა და ხელსაწყო-იარაღსაც მოინახულებთ.

გაშუქებით საუკუნეთა სიღრმეში მევენახეთა ნაკვალევს, იმათ ნაკვალევს, ვისაც მიწის წიაღში ბრინჯაოს სავაზე სასხლავი დარჩენია, ვარძიის მიუვალ კლდეებში გიგანტური საწნახლები გამოუყვეთია, ვაზ-უურძნის ჩუქურთმით შეუშკია ეკლესია-ტაძრები.

ამ წიგნის ავტორი ა. ლეკიაშვილი ბევრი ეთნოგრაფიული ნარკვევის ავტორია. მას ჩვენი უურნალის მკითხველებიც იცნობენ. გახსოვთ ალბათ, შარშან „პიონერის“ № 12-ში დაიბეჭდა მისი მოთხრობა „მარანში“.



**სკოლები**

**ვანკოვი მოთხუი**

ქალაქი ბურთივით დატმუქნე, კანაფი შემოახვიე და წვრილი რეზინი გამოაბი. რეზინს ბოლოზე ყულფი გაუკეთე. ასეთი ბურთით თამამად შეიძლება ოთახში ვარჯიში: არც არაფერს გატეხავ, არც არაფერს წააქცივ.



**ბაზი ზვიგენის წინააღმდეგ**

ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტის აკვალანგისტებმა გამოსცადეს ზვიგენის საწინააღმდეგო ახალი იარაღი. ცდები ტარდებოდა კოსმოსური ხომალდის „აპოლონის“ ფრენის პროგრამასთან დაკავშირებით. ახალი იარაღი წარმოადგენს ნახშირბადის ორუნავით სავსე ვაზნას, რომელიც ფოლადის ისრის წვერზეა მიმაგრებული. დაჭრილი ზვიგენი ვაზის მოჭედების შედეგად ბუშტივით იბერება და სრულიად უშეიო არსებად იქცევა.

**აღამიანი მთვარე**

ამას წინათ ლონდონში გამოვიდა ფრენის გოლდინის წიგნი „აღამიანი მთვარე“ 1688 წელს დაწერილი. ეს წიგნი ერთ-ერთი პირველი მეცნიერულ-ფანტასტიკური რომანია. აქამდე მხოლოდ მისი სამი ეგზემპლარი იყო აღმოჩენილი. ამ წიგნის ილუსტრაციები თვითონ ავტორის მიერ არის შესრულებული.



1. ბურთი მალლა შეაგდე და დაიჭირე. გააკეთე ოთხ-ოთხჯერ, ჯერ ერთი ხელით, მერე — მეორეთი.

2. ხან მარჯვენა, ხან მარცხენა ხელით, ბურთი ფეხის წვერებზე მიირტყე (ფეხი ბურთს შეაგებე). გააკეთე ოთხ-ოთხჯერ.

3. ფეხები გაშალე. ტანი ხან ერთ, ხან მეორე მხარეს შეატრიალე და ბურთი ხან მარჯვნივ დაარტყი იატაკს, ხან მარცხნივ, მერემე ხელით დაიჭირე. გაიმეორე რვა-რვაჯერ.

4. ჩაჭექი. ფეხები გადააჯვარედი. ბურთი ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ დაარტყი იატაკს და ხელიდან ხელში გადაიტანე. გაიმეორე რვაჯერ.


5. ფეხები გაშალე. დაიხარე, ბურთი ფეხებს შორის გაატარე და რაც შეიძლება შორს დაარტყი იატაკს.

6. ჩაჭექი. ბურთი მალლა შეაგდე, წამოდექი და დაიჭირე. გააკეთე რვაჯერ.



7. შეხტი 25-30-ჯერ, ბურთი მალლა ააგდე და ორივე ხელით დაიჭირე.

8. 30-40 ნაბიჯი გადადგი (სიარული ადგილზეც შეიძლება), ბურთი იატაკს დაარტყი და დაიჭირე, დაარტყი და დაიჭირე.



**არქიმოლოგიის ახალი დარგი**

დასავლეთგერმანული უურნალი „ჰობი“ იტყობინება, რომ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში უკვე არსებობს არქეოლოგიის ახალი დარგი, რომელიც ნაგავსაყრელებში ატარებს „გაოხრებს“. თურმე ამ ადგილებში შეიძლება უნიკალური ნივთების, ნამდვილი სამუზეუმო ექსპონატების პოვნა. ასე აღმოაჩინეს, მაგალითად, ედისონის ფონოგრაფი, საბეჭდო მანქანების უიშვიათესი ეგზემპლარები, გრამაფონის ფირფიტები, რომლებზეც 80 წლის წინათ ჩაწერილია განთქმული მომღერლების ხმა, ანტიკვარული წიგნები. პირველი რადიონათურები და სხვა მრავალი საინტერესო საგანი.

ამ დარგის სპეციალისტებს ასეთი დავალებაც კი მისცეს: შესადარებლად იპოვონ პირველი მსოფლიო ომის დროინდელი კონსერვები ან ჯვინი საუკუნის დამდეგს ხმაურებული სუნამო.

ლებს, ურჩევს, რაც შეიძლება მეტი მიირთვან ეს კენკროვანი ნაყოფი.

**მთვარე და ამინდი**

დიდი ხანია არსებობს აზრი, რომ მთვარე გავლენას ახდენს ამინდზე. ამ ჰიპოთეზამ დაინტერესა თანამედროვე მეცნიერები. ამერიკელმა სწავალმა ლეტბრიჯიმ შეისწავლა შეერთებული შტატების მეტეოსადგურების ცნობები. აღმოჩნდა, რომ ქარიშხალი უმეტესად მთვარის შევსებიდან მერე დღე-ღამეს ამოვარდება ხოლმე.

**დედამიწა მავნე ბაზუბს ნთქავს**

დედამიწა დიდი რაოდენობით „ულაპავს“ ჩვენი გარემოსთვის მავნე ვაზებს. ცდებით დამტკიცდა, რომ ერთ კვადრატულ კილომეტრ ნიადაგს ძალუძს ჰერიდან ყოველწლიურად შეიწოვოს 419 ტონა ნახშირუანი, 78 ტონა აზოტის ორუანი, 5200 ტონა გოგირდოვანი ანჰიდრიდი. დედამიწა აგრეთვე ორგანულ ნაერთებსაც შეიწოვს (მაგალითად, ეთილენს), რასაც დიდად უწყობენ ხელს მიკროორგანიზმები.

**„იგორტული“ გზარები**

ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკიდან ბანაით დატვირთულ ყოველ გემს თითქმის 20 ათასი ობობა და 40 ათასი ფურნის ჭია მოჰყვება ევროპაში.

ეს მწერები უმეტესწილად სრულიად უწყინარებია, მაგრამ ბრაზილიიდან, ეკვა-

დორიდან, კოლუმბიიდან შხამიანი ობობებიც მოხვდებიან ხოლმე ევროპის კონტინენტზე. დასავლეთ გერმანიის მთავარ ნავსადგურებში გამუდმებით მორიგეობენ ექიმები, რათა სასწრაფო დახმარება აღმოუჩინონ დაკბენილებს.

**ორნითოლოგთა თავსატახი**

ბულგარეთის სოფელ მიღვეში არხენალ მოსიერნე მამალმა, სახელად ლიუბენმა, თავსატახი საქმე გაუჩინა ორნითოლოგებს. თუმცა მეცნიერთა ერობლივი აზრით, ქათამი 8-10 წელზე მეტს არ ცოცხლობს, ლიუბენი უკვე 30 წელიწადია ომანიანი „უიუიუიუოთი“ აღვიძებს თავის პატრონს. ამასთან დაკავშირებით შეიქმნა მეცნიერთა კომისია, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს ამ უჩვეულო დღეგრძელობის მიზეზები. მამლის პატრონის — მინჩო ლევოვის აზრით კი, მთელი საიდუმლოება იმაშია, რომ ლიუბენი-რეკორდსმენი არასოდეს არ ეწეოდა თამბაქოს, „პირს“ არ აკარებდა სპირტიან სასმელს...



**პოლინეზიალთა ნუგბარი საზოგადო**

პოლინეზიის მკვიდრთა ერთ-ერთი უსაყვარლესი საჭმელია პალოლო. ეს ჭია ვახლავთ, რომელიც მარცხენა ბინადრობს. ოქტომბერში ან ნოემბერში, მთვარის შევსებიდან ზუსტად ერთი კვირის შემდეგ, მას საკმაოდ მოზრდილი კული სწყდება, უმაღვე წულის ზედაპირზე ამოტივტივდება და ორი-სამი საათი დაცურავს. პალოლოს სწორედ ამ დროს იჭერენ პოლინეზიელები.

**ვინც მოცვს ზამს**

შვიცარიელი ექიმი ლივობი ირწმუნება: ვინც მოცვს ჭამს, იგი ღამე სხვებზე უკეთ ხელავსო. ლივობი ავტომატურად მძლოლებს, განსაკუთრებით, ხანდაზმუ-






ხის საკიდელზე მიკედლილი სარეცხის სამაგრები, ძალიან მოხერხებულია პირსახოცის ჩამოსაკიდად.

ქალღიმი ჩააფინე და გასათრავი ღერძულა შიგ დაატრიალე. თუ როგორ უნდა ისარგებლო ამ მოწყობილობით, ნახატზე ნახავ.






ავტომობილის ძველი საბურავისაგან გაკეთებული ასეთი ვედრო მანქანაში დიდ ადგილს არ იკავებს და არც ბრახუნობს.

ლურსმნის გადასალუნად უნდა გამოიყენოს საგანგებოდ გახვრეტილი ჩაქუჩი.



რეზინის ჩექმა თუ წყალს უშვებს და გახვრეტილი ადგილის აღმოჩენა ვერ შესძელი, ჩექმა წყალში ჩაუშვი და, ყელი ისე დაუგრიხე, როგორც კბილის საწმენდ პატარა ტუბს ვგრეხთ. ჩექმიდან გამოდევნილი ჰაერის ბუშტები ნახვრეტს იოლად მიგაგნებინებს.

ხის ან პლასტმასის მრგვალი ღერძულა თუ გინდა გათრავო, ხის ორი პატარა კვილო მრგვლად ამოჭერი, შიგ ზუმფარის



ლითონის ფირფიტის გაბურღვისას, ხელის ბურღი ხშირად იჭედება და გაბურღვა ქირს. ამის თავიდან აცილება შეიძლება, თუ ნახვრეტს კორპს დააცობ.



## ს ა კ ი ე გ ე ლ ი

შამანაძე ნ. — სხივთა თამაში (მოთხრობა)	1	კუკუჩი გოგიაშვილის დაბადების 80 წლის	
ფერაზაღვიშვილი ზ. — ახალი ლექსები	7	თავი	25
მგალაძე ნ. — ფილატელია — საინტერესო სამყარო. (ნარკვევი)	8	ბულიშვილი-მურღულია მ. — ბაბილონის კოშკი (წერილი)	26
გაბიძარი პ. — (გამოუქვეყნებელი მოთხრობები)	10	საინტერესო თემაზე	27
მეფისაშვილი ზ. — სადაც პოეზიის ნალვერდული ვიწვივებდა (წერილი)	16	პანბელაშვილი ლ. — მშობარა — (მოთხრობა)	28
ჯინჯოლია ზ. — გაჯიბრება მუხთან (მოთხრობა)	18	ახალი წიგნები	30
მეზურიშვილი ტ. — ახალი ლექსები	20	სპორტი	30
მანიერი ზ. — ასაფუთებელი ნივთიერებით სავსე ჩემოდანი	20	ჯადოსნური სარკე	30
სანოვი ზ. — გაქცევა (წერილი)	22	გამოგაღებები	32

გარეკანზე მხატვარ დიმიტრი ზარაფიშვილის ნახატი „ახალი წელი“.  
გარეკანის მეორე გვერდზე ოთარ ჩხარტიშვილის ნახატი „შამთარი“.

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.  
სარედაქციო კოლეგია: შოთა ბაბულია, ნოდარ გუკაბანიძე, შოთა დვდარიანი, სერგო კლდიაშვილი, შურაბე ლეგანიძე, ზურაბ ლეშაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი).

ჩვენი მისამართი:  
თბილისი, ლენინის ქ. № 14.  
ტელეფონები:  
რედაქტორის—93-97-05  
93-31-81  
პ/მგ. მდივნის  
93-97-08 93-53-05  
განყოფილებების—93-97-02  
93-97-01

საქ. კ. ც. -ის გამომცემლობის სტამბა თბილისი ლენინის ქ. № 14.  
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии  
Типография изд. ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.  
გადამცემი ასაწყოზად 20/1-72 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/1-73 წ. ქალაქის ფორმირატი  
60X90/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4.19.  
შეკ. № 3754 ტარ. 129.100. უკ 01704.

ფაბი  
20  
კაპიტი



თარგუმად: 1. გა-  
მოჩენილი ესპანელი რე-  
ვოლუციონერი: 3. ცნო-

ევროპაში: 6. მდინარე  
აზიაში: 8. ავტონომიური  
ოლქი ამიერკავკასიაში:

ში: 13. სათიბი იარაღი:  
14. განთიადი. ანუ?.. 15.  
გარი, ანუ? 17. კვახი,  
ანუ? 19. მეცნიერების  
ერთ-ერთი დარგი: 20. ნ.  
დუმბაძის ნაწარმოების  
ერთ-ერთი პერსონაჟი:  
21. რიცხვი.

შვეულად: 1. ციტრუ-  
სოვანი მცენარე: 2. რუ-  
სი საბავშვო მწერალი: 3.  
სასმელი: 4. კურორტი  
სომხეთში: 7. სტადიონი  
სსრ კავშირში: 9. სოფე-  
ლი აზაშის რაიონში: 10.  
ხილი: 11. მთები სსრკ-ში:  
16. სოფელი ყაზბეგის  
რაიონში: 17. ტბა იტა-  
ლიაში: 18. ქალაქი ბალ-  
კანეთის ნახევარკუნძულ-  
ზე.

აზერბაიჯანის სსრ-ს  
კახის რაიონის, სო-  
ფელ ალიბეგლოს სა-  
შუალო სკოლის 11  
კლასის მოსწავლე ნუზ-  
ზარ ემრაზვილი.



13 გუშაბი

საწყობი სამკუთხა ფო-  
რმისა იყო. წესით ერთი  
კედელი უნდა დაეცვა 8  
გუშაგს, მეორე — 5-ს, მე-  
სამე — 8-ს. მაგრამ დაც-  
ვა მხოლოდ 13 კაცისაგან  
შედგებოდა. როგორ უნ-  
და განელაგებინათ გუ-  
შაგები, რომ შეესრულე-  
ბინათ დაცვის პირობა?

პასუხი 1972 წლის  
№ 12-ში  
მოთაჟსაგულ  
„სსრკ-ის ახალგაზრდობა“

შარაღები

1. უშა.
2. მუხულო.

პინ  
ბამოცნოგს?



რგოლები უნდა ჩამოაცვა  
25, 15 და 6 რიცხვებიან ბო-  
ლებზე.

ბამოცანები

1. ქარი
2. ციციანთელა
3. ცისარტყელა

გოლი

აი, როგორ იყვნენ განლაგე-  
ბულნი „მერცხლის“ მოთამა-  
შენი გოლის გატანის დროს.



ბილი ფრანგი ფეხბურ-  
თელი: 5. სახელმწიფო

10. ქალაქი ჩეხოსლოვა-  
კიაში: 12. ქალაქი აზია-


ეკვსნიშნა რიცხვი

ეკვსნიშნა რიცხვი იწ-  
ყება ერთით და მთავრ-  
დება შვიდით. თუ შვი-  
დიანს ერთის ადგილას  
გადაიტან, რიცხვი ხუ-  
თქერ გაიზრდება. მოძებ-  
ნე ეს რიცხვი.

მოძებნე უმცირესი  
რიცხვი

მოძებნე უმცირესი  
რიცხვი, რომელიც 2, 3,  
4, 5, და 6-ზე გაყოფისას  
იძლევა ნაშთს 1, 2, 3,  
4 და 5-ს.

თავსატახი



ვარლამ  
აბრამიძე.  
ზედა ვანის  
საშ. სკოლა.  
VI კლ.

ცარიელი  
უჯრედები ისე  
შეავსე რომ  
12 კუნძულის  
სახელწოდება  
შიილო.

შარაღები

1.

ცისფერთვალა ყვავილია,  
გოკრეფია ხშირად,  
თავდახრილი განაბულა  
იგი ბუჩქის ძირას;  
ის რაღა, სისხამ დილით,  
როცა ტუბილად გძინავს.  
ყვავილებს რომ ეპყურება  
მარგალიტის მძივად?  
ანბანიდან მეცამეტე  
ბეგრა გვინდა ახლა.

იმ თანხმონის  
შესაცვლელად  
სიტყვას წინ რომ ახლავს.  
და შარადა, აი უკვე  
აკინძული გახლავს.

2.

წყალში ყიყინებს, —  
იცან, რაც არის?  
გვინდა სახელის

ბოლო მარცვალი.  
მისამატებლად  
რაცა გეჭირდება,  
მისგან რიცხვები  
ათქერ იზრდება. —  
წყალზე დაცურავს,  
თვითონ წყალია,  
როცა ის ჩნდება,  
ცივა ძალიან.

შ. აპირანაშვილი.



